ПРОЛЕТАРЕБО ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 147 (19589) ◆ ოთხშაბათი, 25 ივნისი, 1986 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

შრომითი ქრონიკა

● **ბათუმის** საყოფაცხოვრებო მანქანათაშენებელ ქარხანაში ნორმატიული წმინდა პროდუქციის მაჩვენებლის შემოღებამ საგრძნობლად გაზარდა თითოეული მუშის დაინტერესება. გაფართოვდა საწარმო, აშენდა ახალი საამქრო, რასაც მოჰყვა ტექნოლოგიურ სიახლეთა დანერგვა. საყურადღებოა ზრდის დინამიკა: მეთერთმეტე ხუთწლედის დამდეგს საწარმომ 8.600 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვა, ხოლო ხუთწლედის დამლევს — 14 მილიონ მანეთისაზე მეტი. ეს არის მტვერსასრუტები, გოფრირებული მილები, თერმოკონტეინერები, რომლებსაც ჩვენს ქვეყანაში მხოლოდ ბათუმის საყოფაცხოვრებო მანქანათაშენებელი ქარხანა აწარმოებს.

ქარხნის კოლექტივი ყოველთვის დაუყოვნებლივ უჭერს მხარს ყველა ინიციატივას. ახლაც, თაოსნობას — დიდი ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების 70 წლისთავისათვის ორი წლის გეგმის შესრულების შესახებ, ბათუმელი მანქანათმშენებლები ერთ-ერთი პირველნი გამოეხმაურნენ და საამისოდ თადარიგიც დაიჭირეს. („კომუნისტის“ ხაკ. კორ.)

● **ახალ** შრომითს გამარჯვებას მიაღწია საწარმოო გაერთიანება „ჭიათურმანგანუმის“ კომუნისტური შრომის საწარმოს ცენტრალური ელექტრომექანიკური სახელოსნოს (დირექტორი — ვ. ჩხეიძე, პარტბიუროს მდივანი — ა. ხარაიძე) კოლექტივმა. აქ უკვე ტრადიციად დამკვიდრდა გამართული რიტმით მუშაობა. ყველა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლის მიხედვით შესრულდა ხუთი თვის დავალება.

კარგი შედეგი მოაქვს მომჭირნეობისათვის ბრძოლასაც. დანახარჯები ყოველ მანეთ პროდუქციაზე 0,5 პროცენტით შემცირდა, რითაც 3600 მანეთი დაიზოგა. მეურნეობის ყარაგანდინ[illegible] [illegible] ერთმანეთს. ტოლს არ უდებენ [illegible] ელექტროსრ[illegible] [illegible] ბრიგადები.

ნედლეულის, მასალების, ელექტროენერგიის დაზოგვის საქმეში მეწინავეობენ ბრიგადირები გ. ყიფშიძე, თ. გულიაშვილი, ბ. მაჭარაშვილი; მერგოლურები ს. ლომოიძე, გ. გველესიანი, ა. ცუცქირიძე; ზეინკლები კ. იობაშვილი, ვ. ტყემალაძე, რ. ალავიძე და სხვები.

სახელოსნოს კოლექტივი ასზე მეტი დასახელების პროდუქციას უგზავნის დამკვეთ ორგანიზაციებს სახელშეკრულებო ვალდებულებების სრული დაცვით. („კომუნისტის“ კორ.).

უმაღლესი სკოლა დიდი ცვლილებების ზღურბლზე

ჩანაფიძრის ენერგია მოქმედების ენერგიად ვაქციოთ — სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის ივნისის პლენუმის ამ მოთხოვნამ ტონი მისცა და განსაზღვრა საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სისტემის მუშაკთა თბილისში გამართულ რესპუბლიკურ თათბირზე საქმიანი, დაინტერესებული სჯა-ბაასის შინაარსი. მისმა მონაწილეებმა განიხილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტი „ქვეყანაში უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების გარდაქმნის ძირითადი მიმართულებანი“ და მთავარი უურადღება დაუთმეს ისეთ მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა მომზადების მთელი სისტემის ძირეული გაუმჯობესების პრობლემებს, რომლებსაც უნარი შესწევთ უზრუნველყონ სწრაფი წინსვლა, სკკპ XXVII ყრილობის მიერ დასახული ახალი მიჯნების მიღწევა.

ზვალინდელი წარმოების მეთაურების, მეცნიერების, მედიკოსების, პედაგოგების პროფესიონალიზმი და მოქალაქეობრიობა ყალიბდება უკვე დღეს — სასწავლო აუდიტორიებში, ლაბორატორიებში, სტუდენტურ საკონსტრუქტორო ბიუროებში. ამიტომ უაღრესად მნიშვნელოვანია ქვეყანაში მიმდინარე ცვლილებების პრიზმით მკვეთრად ჭეშდავდეთ პერსპექტივას, ვიჩენდეთ გარდაქმნის უნარს, ვეძებდეთ სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ახალ ფორმებსა და მეთოდებს და ძირითად მიზნად ვისახავდეთ საბოლოო შედეგის მიღწევას.

როგორია რესპუბლიკაში უმაღლესი სკოლის განვითარების ოპტიმალური გზები, როგორ ჩამოვაყალიბოთ მისი ტემპი, როგორ გამოვიყენოთ ეფექტიანად ფარული რეზერვები? ამ საკითხების გარშემო გაიმართა მწვავე აზრთა გაზიარება. ზოგჯერ დისკუსია პოლემიკურ ხასიათს იღებდა, მაგრამ ყველა გამოთქვამდა ერთსულოვან აზრს: ცვლილებები საჭიროა, რადგან ასეთია დღეს მთელი ჩვენი ცხოვრების განახლების ლოგიკა.

შეკვეთა სპეციალისტზე

ჩავუფიქრდეთ პოსტულატს, რომელიც დღეს განსაკუთრებით აქტუალური გახდა: კადრები ყველაფერს წყვეტენ. მაშასადამე, ახლა მათი მომზადება უპირველეს სახელმწიფო, პოლიტიკურ მნიშვნელობას იძენს. კადრებზე დამოკიდებულია ეკონომიკის, საზოგადოების სოციალური განვითარების მეცნიერულ-ტექნიკური და ორგანიზაციული დონე. საიდუმლო როდია, და ეს კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღინიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის ივნისის პლენუმმა, რომ რეალურ ცხოვრებაში ვითარდება არა მარტო პოზიტიური ტენდენციები, რომლებიც დომინირებს საზოგადოებაში, არამედ მოქმედებს შემაფერხებელი ფაქტორებიც. და ყველაზე ხშირად მათი მიზეზია ინერცია, მოძველებული ჩვევები, გაქვავებული ფსიქოლოგია. თითქოს, რა პრეტენზიები შეიძლება წაუყენოთ უმაღლეს სკოლას, თუ სახალხო მეურნეობისგან არ ვიღებთ რეკლამაციებს მისი კურსდამთავრებულებისადმი? მაგრამ განა საბჭოთა კოლუნისტების ფორუმის მიერ გულახდილად დასახელებული და ღრმად გაანალიზებული ჩვენს ცხოვრებაში ამასწინანდელი დაქვეითების გამოვლინებანი არ არის ყველაზე სერიოზული რეკლამაცია სპეციალისტის მომზადების ხარისხისადმი? სწორედ ასე აყენებდნენ საკითხს თათბირის მონაწილეები, ამ აზრით აშუქებდნენ კონკრეტულ ფაქტებსა და პრობლემებს.

— სპეციალისტთა მომზადების დონე სულ უფრო ნაკლებად შეესაბამება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული პროგრესის მოთხოვნებს, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მიღწევებს, — თქვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ **ო. ე. ჩერქეზიამ.** — ამის მთავარი მიზეზია ის, რომ განათლება მოწყვეტილია წარმოებას, სუსტია მისი კავშირი აკადემიურ და დარგობრივ მეცნიერებასთან. ამის შედეგად ჩვენ ხშირად ვაწყდებით სიტუაციას, როცა კურსდამთავრებულები მხოლოდ მუშაობის დაწყებისას სწავლობენ წარმოების ანბანს. ისინი კი წარმოებაში ყოფნის პირველი დღეებიდანვე უნდა იღებდნენ გაბედულ ტექნიკურ და ტექნოლოგიურ გადაწყვეტილებებს. იმაზე, თუ რამდენად სწრაფად განხორციელდება უმაღლესი და საშუალო სპეციალური სკოლის გარდაქმნა, დიდად არის დამოკიდებული ადამიანის ფაქტორის გააქტიურება და მის საფუძველზე სახალხო მეურნეობის თვისებრივი გარდაქმნების ტემპის დაჩქარება.

შემთხვევითი როდია, რომ თათბირზე სიტყვა მისცეს იმათაც, ვინც უშუალოდ მონაწილეობს სპეციალისტებზე სოციალური შეკვეთის ჩამოყალიბებაში, — სამეურნეო ხელმძღვანელებს. აღსანიშნავია მათი გამოსვლების მკაფიო საქმიანი კონცეფცია: დროა ერთმანეთისადმი პრეტენზიებიდან გადავდეთ ურთიერთხელსაყრელ პარტნიორობაზე.

— იქმნება თვისებური ფსიქოლოგიური ბარიერი ახალგაზრდა სპეციალისტების თეორიულ მომზადებასა და წარმოების კონკრეტულ ამოცანებს შორის, რომელიც დაკავშირებულია კომპიუტერების, რობოტებისა და სხვა რთული ტექნიკის აუცილებელ გამოყენებასთან. — აღნიშნა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის „მიონისა“ და ქარხნის დირექტორმა **ნ. ი. კახიშვილმა,** — ასეთი მდგომარეობა განპირობებულია, ერთი მხრივ, მკვეთრი ნახტომით მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში, მეორე მხრივ კი იმით, რომ პრაქტიკულად არ არის სწავლების თანამედროვე დონის უზრუნველყოფისა თ ვ ი ს საჭირო მოწყობილობა.

მაგალითად, თბილისის უნივერსიტეტს მიმდინარე წლისათვის გამოუყვეს მხოლოდ ორი გამოთვლითი კომპლექსი, ხოლო საინჟინრო კადრების ისეთი სამკვდლოსათვის, როგორიც საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტია, საერთოდ არაფერი არ არის დაგეგმილი. ბუნებრივია, რომ, როცა ახალგაზრდა სპეციალისტს უხდება იმთავითვე დაიკავოს ელექტრონული სქემების გამოანგარიშების დამპროექტებლის ავტომატიზებული სამუშაო ადგილი, რომლებიც ათიათასობით, ზოგჯერ კი ასიათასობით ელემენტს შეიცავს, გუშინდელ სტუდენტს დიდი ჯაფა ადგება...

ამავე დროს, აღინიშნა თათბირზე, რესპუბლიკის მთელმა რიგმა უმაღლესმა სასწავლებლებმა უკვე განახორციელეს მდგომარეობის გამოსწორების სერიოზული ღონისძიებანი.

— პირველი კურსიდან სტუდენტები ავტომატიზებულ სამუშაო ადგილებზე ეუფლებიან კომპიუტერულ ანბანს, — თქვა საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორმა **თ. ნ. ლოლაძემ.** — ინსტიტუტში შექმნილია ელექტრონული მიკროსკოპიის, ელექტრონული და მიკროელექტრონული ტექნოლოგიის და სხვა სამეცნიერო-საინჟინრო ცენტრები. მუშაობს საცდელ-საწარმოო ქარხანა. ყოველივე ამან შესაძლებლობა მოგვცა არა მარტო დაგეგმწყო შესაბამისი პროფილის სპეციალისტთა მომზადება, არამედ გაგვეფართოებინა კიდეც სამეცნიერო კვლევის, ნამუშევრების მასშტაბი, ფართოდ ჩაგვება ამ მუშაობაში სტუდენტები. მარტო შარშან წარმოებაში ინსტიტუტის სამეცნიერო ნამუშევართა დანერგვის შედეგად მიღებულმა ეკონომიკურმა ეფექტმა 20 მილიონ მანეთს გადააჭარბა.

დიახ, ბევრი რამ კეთდება, მაგრამ, როგორც აღიარეს თათბირის მონაწილეებმა, სპეციალისტთა მომზადების დონე წარმოების ტექნიკურ დონეს ჯერ კიდევ 10-15 წლით და მეტად ჩამორჩება. ხშირად წარმოებაში მოსული ახალგაზრდა ინჟინერს უხდება შეგირდის როლის შესრულება და მის პროფესიულ ადაპტაციას კვლავ დრო, მეცადინეობა, სახსრები სჭირდება. მნიშვნელოვანწილად ამითაც არის განპირობებული საინჟინრო პროფესიის პრესტიჟის დევალვაცია.

— ამ დისტანციის შემცირება, — თქვა თბილისის გ. დიმიტროვის სახელობის საავიაციო საწარმოო გაერთიანების გენერალურმა დირექტორმა **პ. შ. თორდიამ,** — წარმოების საზრუნავიც უნდა გახდეს.

სპეციალისტების მომზადების პროცესი, მისი აზრით, უნდა უსწრებდეს ახალი მოწყობილობის სერიულ გამოშვებას. საამისოდ კი საჭიროა, რომ მოწყობილობის პირველ ნიმუშებს ქარხნები კი არა, ინსტიტუტები იღებდნენ.

რა თქმა უნდა, ამ პრობლემის გადაჭრის გზებიც არსებობს. და თათბირზე ზუსტად განსაზღვრეს ისინი. კერძოდ, აღინიშნა, რომ ბევრი საკითხის გადაწყვეტა შეიძლება ადგილებზე, რესპუბლიკის ინდუსტრიულ პოტენციალზე დაყრდნობით. იმავე „მიონის“ ხელმძღვანელმა, მაგალითად, პირობა დადო, რომ წლიულს საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებს 10 კომპიუტერს მოუმზადებს სტუდენტების სწავლებისათვის.

საყოველთაოდ არის ცნობილი, რომ მაღალკვალიფიციური კადრები საზოგადოების ოქროს ფონდს შეადგენენ. თითოეული სპეციალისტის მომზადება სახელმწიფოს მრავალი ათასი მანეთი უჯდება. მაგრამ განა ყოველთვის დიდია ამ დანახარჯის რეალური უკუგება? პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ეკონომიკური და მორალური დანაკარგების მნიშვნელოვანი ნაწილი მოდის ხარვეზებზე ყოველი საწარმოსა და მეურნეობისათვის სპეციალისტების მომზადება-განაწილების დაგეგმვის სისტემაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტში აღნიშნულია, რომ საჭიროა კადრებზე რეალური მოთხოვნილების გამოვლინების ახალ მექანიზმზე გადასვლა. ეს უნდა ემყარებოდეს საწარმოთა და უმაღლეს სასწავლებელთა ერთობლივ საქმიანობას. აქ თავისი როლი უნდა შეასრულოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმაც, როგორც, როგორც თათბირზე აღინიშნა, საკმარისად არ მუშობს საამისოდ. ამის შედეგად იქმნება დისპროპორცია კონკრეტულ მოთხოვნილებებსა და ახალგაზრდა სპეციალისტების რაოდენობას შორის. მაგალითად, რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლები ყოველწლიურად კურსდამთავრებულთა მხოლოდ 80 პროცენტს ანაწილებენ. ასობით და ათასობით მათგანი იძულებულია თვითონ ეძებოს სამუშაო და, როგორც წესი, სპეციალობის მიხედვით ვერ ეწყობა.

რაოდენობრივი გადახრა ზოგიერთი სახის პროფესიებისაკენ და სხვათა დეფიციტი, გამოწვეულია იმით, რომ არ ვითვალისწინებენ ცხოვრების რეალურ მოთხოვნილებებს. ამიტომ დღეს ეკონომიკის განვითარებაზე უარყოფით გავლენას ახდენს ის ფაქტი, რომ მხოლოდ ახლახან, თითქმის 20 წლის დაგვიანებით დაიწყო რობოტექნიკის, ბიოტექნოლოგიის, ინფორმატიკის დარგის სპეციალისტთა მომზადება. ინდუსტრიის პრეტენზიებს მხარს უჭამს აგრომრეწვის პრეტენზიებიც: რესპუბლიკაში აგროინჟინრის, ზოოტექნიკოსების სიჭარბეა, მაშინ როცა იგრძნობა ვეტერინარი ექიმებისა და ეკონომისტების დეფიციტი.

(დასასრული მე-2 გვ.)

შეამინდობა გარჯით დავჯაგნოთ!

ლეტყვამ და წვიმამ მოსავალი გაგვინადგურა. სოფლად თუ ქალაქად ახლა ამ სიტყვებს ხშირად გაიგონებთ. მთელი გაზაფხულის მანძილზე და ზაფხულის პირველ დღეებში სოფლის მშრომელებს მოსვენება დაუკარგა ხშირწვიმიანობამ, სეტყვამ, გვალვამ და ამ ბოლო დღეებში—თოვლმაც; ამინდი, როგორც ეხედავთ, არ ანებივრებს სოფლის მშრომელებს. ამიტომ ეს დამატებითს სიძნელეებს უქმნის მევენახეებს, მეშინდვრეებს, მეჩაიეებს, მეხილეებსა თუ მებოსტნეებს, ყველას, ვინც მიწას არის შეჭიდებული. ამიტომაც ბევრ რაიონში საგანგებო მდგომარეობაა გამოცხადებული. პარტიის სიღნაღის რაკომის შესასვლელ კარზე გაჩნდა წარწერა „ყველანი ვენახებში ვართ“. ეს იმას ნიშნავს, რომ ახლა სამუშაოთა მთელი ფრონტი ვენახებშია გადატანილი და ხელმძღვანელები თუ სპეციალისტები, ყველა მუშაკი, სოფლის მშრომელები — კოლმეურნეები თუ ინტელიგენციის წარმომადგენლები დასტყვილი ვენახების გადასარჩენად თავდაუზოგავად შრომობენ. ასევეა ბურჯაანში, თელავში; წითელწყაროში კი, სადაც ხანგრძლივმა გვალვამ დააზიანა პურეულის საშემოდგომო ნათესები და პირუტყვის საკვები კულტურები, ასეთი მოწოდებაა — „ყველანი მინდვრად!“ და მართლაც, ყველა მინდვრად გახულა, რათა ნათესი ბალახები სწრაფად მოთიბონ, ქერის ყანები დროზე მომკან, რომ იქ სასილოსე კულტურები რაც შეიძლება მოკლე დროში დაითესოს, რომ მეცხოველეობას მტკიცე საკვები ბაზა შეუქმნან.

მევენახეები და მეხილეები სეტყვის შედეგების სალიკვიდაციოდ დღენიადაგ ზრუნავენ, ძალ-ღონეს არ იშურებენ, რომ ნასეტყვი ვაზი თუ ხეხილი დროულად გასწლან, შეჩამლონ, იარები მოუშეშონ, მიწა სასუქებით გააპოხიერონ, მოსავალი შეინარჩუნონ. გარდა ამისა აქ საზრუნავი მინდორიც არის; დასეტყვილი ყანები პირუტყვის საკვებად სწრაფად უნდა აიღონ, რომ სასილოსე სიმინდი დროზე დათესონ.

დასავლეთ საქართველოს, უმეტესად მეჩაიეობის რაიონების შენობათა ფასადებზე კი სხვა მოწოდებაა: — „ყველანი ჩაის პლანტაციებში!“ დიახ, ყველა, ვისაც კი ფოთლის კრეფა შეუძლია, ჩაის პლანტაციებში უნდა იყოს გასული. ეს იმიტომ, რომ ხშირწვიმიანმა გაზაფხულმა ჩაის ბუჩქები ერთობ გააღაღა, ფოთოლი საკრეფად უსვად არის, მაგრამ ავდარი კვლავ გრძელდება, ნაზი დუყვები კი დროზე თუ არ მოიკრიფა, გაუხეშდება და ნედლეულის ხარისხი გაუარესდება.

რა თქმა უნდა, საგვემო დავალების უთუოდ შესრულებისათვის ბრძოლამ არც ნედლეულისა და არც პროდუქციის ხარისხზე უარყოფითად არამც და არამც არ უნდა იმოქმედოს. გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციამ და რესპუბლიკის სახაგრომრეწვამ ერთობლივი თათხნობა ნამოიწყეს რუბრიკით: „ხარისხია მეჩაიეთა შრომის განმსაზღვრელი!“ მეჩაიეობის საზოგადოებრივი მეურნეობებისათვის და ჩაის ფაბრიკისათვის დაწესდა გარდამავალი დროშები და ფასიანი საჩუქრები (ფერადი ტელევიზორები). ამ საპატიო ჯილდოების მოპოვება იმიტომაც არის საინტერესო, რომ ისინი ცნობილი მეჩაიის, ქართული ჩაის ხარისხის გაუმჯობესებისათვის დაუღალავი მებრძოლის, ორგზის სოციალისტური შრომის გმირის თამარ ყუფუნიას სახელს ატარებს. თამარ ყუფუნიას პრიზის მომპოვებელი საერთო საქმის მართლაც დიდი მოამაგე და მოჭირნახულე უნდა იყოს. იმედი გვაქვს, მეჩაიეობის რაიონების, პარტიული, საბჭოთა ორგანოები, აგროსამრეწველო გაერთიანებანი დიდი გულისყურით, მთელი სერიოზულობით მოეკიდებიან ამ საპატიო ჯილდოსათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებას. ივნისი რომ მაღალხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფის გადამწყვეტი თვეა, ეს ყველა მეჩაიეს კარგად მოეხსენება და ბევრი დიდი რეფუნებით ეკიდება დაკისრებული მოვალეობის ერთგულად შესრულებას. შეჯიბრების ავანგარდშია ბევრი მეჩაიე, რგოლი, ბრიგადა, საზოგადოებრივი მეურნეობა, ჩაის ფაბრიკა. მაგრამ ჯერ კიდევ საკმაოდ ეხვდებით ძველებურად—ნამგლებითა და ფხიანი დანებით ჩაის ფოთლის კრეფის შემთხვევებს; ასეთი შეთოდით კრეფა დანაშაულია და მას სათანადო შეფასება უნდა მიეცეს. რესპუბლიკის სახაგრომრეწვიდან გვაცნობეს, რომ პარტიის მახარაძის, წალენჯიხის, წულუკიძის რაკომებში და აგროსამრეწველო გაერთიანებებში მკაცრად დასაჯეს უხარისხო ნედლეულისა და პროდუქციის დამამზადებლები. ეს ნამდვილად საქმიდან გამომდინარე შედეგები მოსაწონია.

განხორციელებული ღონისძიებების მიუხედავად, ჩაის ფოთლის კრეფასა და გადამუშავებაში ჯერ კიდევ ვხვდებით დაუდევრობის, იერიშობანისა და უსულგულობის ფაქტებს. ჩაის ფოთლის კრეფაში ჩამორჩენიან არა მარტო ჩაის მწარმოებელი პატარა რაიონები, არამედ დიდი, რომ იტყვიან, ტონის მიმცემი რაიონები. ზუგდიდის რაიონის მეჩაიეებს მარშანდელ შესაპამის პერიოდთან შედარებით 8.600 ტონით ნაკლები ნედლეული აქვთ მოკრეფილი და გადამუშავებული, ხოლო მახარაძის რაიონს — 8.300 ტონით ნაკლები. ამის. გამოა, რომ რესპუბლიკის მახშტაბით მარშანდელთან შედარებით — 60 ათასი ტონით ნაკლები ჩაის ფოთოლია ნეფელეულ მოკრეფილი. ეს შეტად დამაფიქრებელია არა მარტო მეჩაიეობის რაიონების ხელმძღვანელობისათვის, არამედ მთლიანად რესპუბლიკის სახაგრომრეწვისათვისაც. დაჩქარების სტრატეგია იმაზე მიგვანიშნებს, რომ შექმნილ მდგომარეობას დაუყოვნებლივ ყველამ უნდა აუღოს ალღო.

მთისა და ბარის მეცხოველეობის რაიონების, მებოსტნეობის რეგიონების საზოგადოებრივ მეურნეობებს კი სხვა საზრუნავი აქვთ. მეცხოველეობის მეურნეობები ახლა დღენიადაგ ენერგიის დაზოგვაგან, მთელი სერიოზულობით უნდა ირჯებოდნენ პირუტყვის მომავალი მაძღარი გამოზამთრებისათვის, საკვები ბაზის განმტკიცებისათვის. ბაფუნები თუ არ მოიმარაგებენ საჭირო საკვებს, მერე გვიანდა იქნება. უამინდობამ ვერ უნდა შეაშინოს საკვებმომპოვებლები. მათ ყველაფერი უნდა იღონონ, რომ დასეტყვილი თავთავიანები სასენაჟედ პირწმინდად გათიბონ, თივაც დაამზადონ. მემინდვრეებმა პურეულის მკის დროს არც ერთი კილოგრამი ნამჯა დაუზვინავი არ უნდა დატოვონ, ნაწვერალზე კი სასილოსე კულტურები მოიყვანონ.

მებოსტნეები, მეკარტოფილეები აჯადარს ბევრგან არ უშინდებიან. მოსავლის მაქსიმალურად აღებისთვის ძალ-ღონეს არ იშურებენ, მაგრამ ზოგან გულდინჯი მეხვალიეებიც არიან. ბოსტნეულის, კარტოფილის (საადრეო) მოსავლის აღებაში შეფერხებას არ უნდა შეეურიგდეთ. დასეტყვილი ფართობები დაუყოვნებლივ უნდა გაკათალინუფლოთ წახდენილი მცენარეულობისაგან, ნაყოფისაგან, გამოსაყენებელი გამოვიყენოთ, სოლო მიწა მეორე მოსავლის მისაღებად აგრონესების დაცვით მოვხნათ და დავთესოთ.

საქართველოს სოფლის მშრომელებს გულგატეხილობა არასდროს არ სჩვევიათ და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ხელშეწყობითა და დახმარებით ყველაფერს იღონებენ, რათა მეთორმეტე ხუთწლედის პირველი წლის უხვი მოსავალი მიიღონ და უკლებლივ დაანინაონ. ბაღ-ვენახებს, მინდვრებს, ჩაის პლანტაციებს, მთასა და ბარს კვლავაც ჩვეული გულდადებით მივხედოთ, აავდარს გამრჯე მარჯვენა, შეცნიერების მიღწევები და საზრიანი გონება დავუპირისპიროთ, ვიყოთ დღევანდელობის, დაჩქარების სტრატეგიის დონეზე! — აი რა არის დღეს საჭირო. სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდება — სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ — მეთორმეტე ხუთწლედის დაკალებათა მაღალ დონეზე შესრულებისათვის — რესპუბლიკის ყველა შრომელმა გულთან ახლოს უნდა მიიტანოს.

დოკუმენტების კრებული

გამოვიდა ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის ბუდაპეშტში 1986 წლის 10-11 ივნისს გამართული თათბირის დოკუმენტებისა და მასალების კრებული. კრებულში გამოქვეყნებულია ნატოს წევრი სახელმწიფოებისადმი ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა მიმართვის ტექსტი, თათბირზე მიღებული კომუნიკე და სხვა მასალები.

კრებული გამოუშვა პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ. (საკინფორმი).

საქმეთ გამოაჩინა



სრულყოფენ შეჯიბრების ორგანიზაციას

თბილისის კომვოლ-მაუდის კომბინატის კოლექტივი ფართოდ გამოეხმაურა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას მეთორმეტე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის, საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შესახებ.

საწარმოში ახლა მრავალი ღონისძიება ხორციელდება შრომითი მეტოქეობის ორგანიზაციის სრულყოფისათვის, შეჯიბრებაში ფორმალიზმის აღმოფხვრისათვის, საუკეთესო საშოლოო შედეგების მიღწევისათვის.

სურათებზე: ახალგაზრდულ-კომკავშირული ბრიგადის წევრი, სოციალისტური შეჯიბრების შეწინავე მრთველი ელენე არაბული; კომბინატის მჭსოველები ნანა გოცირიძე და ნელი მაღრაძე დიდი გადაჭარბებით ასრულებენ ნორმებს, იბრძვიან პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

ა. საბაკოვის ფოტო.

ლიტერატურის ძალაა ცხოვრებისეული სიმართლე

გაიხსნა სსრ კავშირის მწერალთა მეორე ყრილობა

სამშოგლოს ინტერესებთან, პატრიოტულ ინტერესებთან არის შერწყმული სიტყვოთა ლიტერატურა. ხალხის ხორცი ხორცთაგანი, იგი ცხოვრობს მისი საზრუნავითა და საჭიროებით, აქტიურად აყალიბებს ახალი სამყაროს ადამიანს—პატრიოტს, შემოქმედს, ნამდვილ ინტერნაციონალისტს, რომელსაც უნარი შესწევს იკისრო თავისი დროის ტვირთი.

ქვეყნის განვითარების თანამედროვე გარდამტეხ ეტაპზე სიტყვის ოსტატთა ამოცანები სსრ კავშირის მწერალთა VIII ყრილობის დელეგატების ყურადღების ცენტრშია. ყრილობა 24 ივნისს გაიხსნა მოსკოვში, კრემლის დიდ სასახლეში.

ყრილობის დელეგატებთან — მრავალეროვნული საბჭოთა ლიტერატურის წარმოგზავნილებთან ერთად დარბაზში არიან პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების წარმომადგენლები.

საბჭოთა ლიტერატურის დიდი საერთაშორისო ავტორიტეტის დადასტურება, ჩვენი ქვეყნის ხალხებისა და ეროვნებების 78 ენაზე რონ იქმნება, ის არის, რომ ყრილობაში მონაწილეობენ მოძმე სოციალისტური ქვეყნების, ევროპის, აზიის, აფრიკის, ამერიკის მთელი რიგი სახელმწიფოების მრავალრიცხოვანი მწერალთა დელეგაციები.

ტაშით შეხვდნენ დელეგატები და სტუმრები ამხანაგებს მ. ს. გორბაჩოვს, ჰ. ა. ალიევს, ა. ა. გრომიკოს, ვ. ი. ვოროტნიკოვს, ლ. ნ. ზაიკოვს, ი. კ. ლიგაჩოვს, ნ. ი. რიჟკოვს, მ. ს. სოლომენცევს, ე. ა. შევარდნაძეს, ბ. ნ. დემიჩევს, ვ. ი. დოლგიხს, ნ. ვ. ტალიზინს, ა. პ. ბირიუკოვას, ა. თ. დობრინინს, მ. ვ. ზიმიანინს, ა. ნ. იაკოვლევს, ვ. ა. მედვედევს, ვ. პ. ნიკონოვს, ი. ვ. კაპიტონოვს.

ირჩევენ ყრილობის სამუშაო ორგანოებს.

ამტკიცებენ დღის წესრიგს: სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გაგების საანგარიშო მოხსენება; სსრ კავშირის მწერალთა კავშირის ცენტრალური სარევიზიო კომისიის მოხსენება; სსრ კავშირის მწერალთა კავშირის ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნები.

დამსწრეთ წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს ყრილობებს შუა პერიოდში გარდაცვლილ მწერალთა ხსოვნას.

შემდეგ სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამეორბის საანგარიშო მოხსენება გააკეთა გამგეობის პირველმა მდივანმა **გ. მ. მარკოვმა.**

სსრ კავშირის მწერალთა მერვე ყრილობა, თქვა მან, ღირსშესანიშნავ დროს შეიკრიბა. ჩვენი პარტია და ხალხი ცხოვრობენ და მუშაობენ სკკპ XXVII ყრილობის გადწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლის ვითარებაში, როცა ჩანაფიქრის ენერგია მოქმედების ენერგიად იქცევა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმა ახალი ძალით დაგვიასა მიზნად პარტიის წინასწარდასახულობათა უფრო ინტენსიური ხორცშესხმა.

პარტიის ყრილობამ ყველა ჩვენგანს აჩვენა ხარვეზებისა და ნაკლოვანებებისადმი პატიოსანი, პრინციპული მიდგომის მაგალითი, სიმართლის ნამდვილი გაკვეთილი. ეს გაკვეთილი გაგრძელდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის ნუშობის მონაწილე დეპუტატ მწერლებთან და დედაქალაქის ლიტერატორთა ჯგუფთან სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის შეხვედრის დროს. აღინიშნა, რომ საბჭოთა მწერლები არასოდეს არ განდგომიან თანამედროვე მსოფლიოს საზრუნავს, ხალხის ცხოვრებას.

ჩვენი შემოქმედებითი მუშაობით, თქვა შემდეგ ორატორმა, კვლავაც დავეხმარებით პარტიას ახორციელებდეს ეკონომიკური და სოციალური საქმიანობის ყველა სფეროში დაჩქარებისა და ეფექტიანი გარდაქმნის მასშტაბურ რეალისტურ კურსს, და უწინარეს ყოვლისა ადამიანების აზროვნების, საქმისადმი მათი დამოკიდებულების გარდაქმნაში, ორგანიზებულობისა და დისციპლინის განმტკიცებაში.

ვაანალიზებთ რა ლიტერატურის ბევრ ბოლო წლეულ ბეგლელ გზას, ვხედავთ, რომ მას ახასიათებდა ძნელი ძიება თანამედროვე ხალხის ცხოვრების ახალი, ნამდვილად მხატვრული ასახვისა მთელი მისი მრავალმხრივობით, დრამატიზმითა და სიდიადით. ამ გზაზე იყო ბევრი სიძნელე, ბევრი შეცდომა და დანაკარგი.

(დასასრული მე-3 გვ.)

„ჩემი შემოქმედება ხალხს ეძღვნება“

დიდი პატივისცემითა და სიყვარულით აღნიშნა თბილისის საზოგადოებრიობამ სსრ კავშირის სახალხო არტისტის, სოციალისტური შრომის გმირის ანდრია ბალანჩივაძის დაბადების ოთხმოცი წელი.

თბილისის ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის დარბაზში, სადაც 23 ივნისს გაიმართა საღამო კომპოზიტორის პატივსაცემად, შეიკრიბნენ ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი, საბჭოთა კულტურის უთვალსაჩინოესი ოსტატის ნიჭის მრავალი თაყვანისმცემელი.

საიუბილეო საღამოს ესწრებოდნენ ამხანაგები ჯ. ი. პატიაშვილი, გ. ა. ანჩაბაძე, გ. დ. გაბუნია, პ. გ. გოლაშვილი, ო. გ. ვარძელაშვილი, ო. ე. ჩერქეზიანი, ზ. ა. ჩხეიძე, ვ. ი. ალავიძე, ვ. გ. ლორთქიფანიძე, თ. ი. მოსაშვილი, ნ. რ. საჯაია.

პატრიოტი კომპოზიტ ო რ ი ს ღრმად ხალხური შემოქმედება მსმენელს იზიდავს იდეურ-მხატვ

უმაღლესი სკოლა დიდი ცვლილებების ზღვარზე

(დასასრული)

თათბირის მონაწილეთა აზრით, სხვა პრობლემათა შორის უნდა გადაიჭრას ასეთი პრობლემაც. დროულად დაიწყოს მომზადება ცოდნის იმ სფეროებში, რომლებიც განსაზღვრავენ მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების უახლოეს მომავალში.

თათბირის მონაწილეთა ზოგიერთი წინადადება სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტში შესატანად:

მიენიჭოთ მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროებს უფლება მომზადონ მცირე კონტინგენტის სპეციალისტები სახალხო მეურნეობის კონკრეტულ მოთხოვნათა წარმოქმნის შესაბამისად.

გაიზარდოს უწყებებისა და საწარმოების სამართლებრივი პასუხისმგებლობა ადგილებზე კადრების დამკვიდრების, მათი საჭირო საწარმოო-საყოფაცხოვრებო პირობებით უზრუნველყოფისათვის.

შეიქმნას საწარმოებში თანამედროვე მოწყობილობაზე სტუდენტების მუშაობის სწავლების კურსები. მოგვარდეს ამ პროცესის მატერიალური სტიმულირება.

ცვლილებებს დრო გვიკარნახებს

არ შეიძლება ყველას ერთად სწავლება — თითოეულს ცალ-ცალკე უნდა ვასწავლიდეთ. ადამიანის ფაქტორის გააქტიურება, მათ შორის სასწავლო-აღმზრდელობითს პროცესში, წარმოუდგენელია ყოველი სტუდენტისადმი ინდივიდუალური მიდგომის გარეშე. მაგრამ განა ყოველთვის არის საამისო დრო და შესაძლებლობა? სამწუხაროდ, სასწავლო პროცესის გადატვირთვა ხელს არ უწყობს ამას. მაგალითად, საშუალოდ ყოველი სპეციალობით უმაღლეს სასწავლებლში 50, ის კი არა მეტი საგანიც კი ისწავლება. ასეთი მოცულობის ინფორმაციის ათვისება, როგორც სპეციალისტების გამოკვლევები ცხადყოფს, პრაქტიკულად შეუძლებელია. აი ამიტომ არის, რომ უმაღლესი სკოლა ხშირად უშვებს დიპლომანტრებს, რომელთა პროფესიული დონე კრიტიკას ვერ უძლებს.

— პარტიის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, რომ ვამზადებდეთ ისეთ სპეციალისტებს, რომლებსაც შემოქმედებითად, დამოუკიდებლად აზროვნება შეუძლიათ, ერთ რამეს ნიშნავს: იმან, ვისაც არ სურს ან არ შეუძლია სწავლა, უნდა დატოვოს უმაღლესი სასწავლებელი, — თქვა საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრმა **დ. ი. ჩხაიძეშვილმა.** — ჯერჯერობით კი ფილტრაციის, განთავისუფლების პირველ ორ კურსზე კი არ მთავრდება. არამედ თვით სახელმწიფო გამოცდამდე გრძელდება. ათასობით ახალგაზრდა, რომლებიც სწავლების ბოლო წელს აკადემიური ჩამორჩენის გამო გაირიცხნენ, ან სახელმწიფო გამოცდები ვერ ჩააბარეს, სადიპლომო ნაშრომები ვერ დაიცვეს, შემდგომში ყველა ინსტანციას მიმართავს აღდგენის თხოვნით. ჩვენი აზრით, ამ საქმეში სათანადო წესრიგის დამყარების დრო დადგა. ქვეყანაში ხომ არ არსებობს საგალდებულო უმაღლესი განათლება — მაშასადამე, არც არის ყველასათვის დიპლომის მიცემის საჭიროება.

იბადება კითხვა: საჭიროა კი ქრონიკულად ჩამორჩენილი სტუდენტების სახელმწიფო გამოცდამდე მიყვანა? ხომ შეიძლება სახელმწიფო სახსრების უაზრო ხარჯვის პროცესის გაცილებით ადრე შეჩერება. საჭიროა გაძლიერდეს მუშაობა ახალგაზრდობის პროფესიული ორიენტაციისათვის, გაიზარდოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პასუხისმგებლობა თავიანთი კურსდამთავრებულების ცოდნის დონისათვის, ამაღლდეს უმაღლესი სასწავლებლების მიმღებ კომისიათა როლი.

— ჩვენ სტუდენტების ერთობ სუსტ კონტინგენტთან გვიწევს მუშაობა, — განაცხადა თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორმა **რ. ვ. მეტრეველმა.** — ბოლო ხუთი წლის მანძილზე ჩვენს უმაღლეს სასწავლებელში მისაღებ გამოცდებზე მაპროფილებელ საგანში არადამაკმაყოფილებელი შეფასებები მიიღო მედალისანი აბიტურიენტების 80 პროცენტმა. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა და პედაგოგიური სასწავლებლები ჯერაც ვერ იქცნენ მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადების ერთიანი სისტემის ურთიერთდაკავშირებულ რგოლებად.

ამ შემთხვევაში საქმე ეხება არა სკოლებში ცოდნის გარკვეული მარაგის შეძენას, არამედ იმის აუცილებლობას, რომ უკვე უფროს კლასებში შევუქმნათ ქალიშვილებსა და ჰაბუკებს პროფესიული ჩვევების საფუძვლები. ამ მუშაობას უნდა ვეწეოდეთ დიფერენცირებულად, ვითვალისწინებდეთ თითოეულის მიდრეკილებას ამა თუ იმ მომავალი სპეციალობისადმი.

მწვავე დისკუსია გაიმართა თათბირზე უმაღლესი სკოლის ერთ-ერთი მთავარი პრინციპის — აბიტურიენტთა უნარის მიხედვით შერჩევის პრინციპის განხილვის გამო. შეღავათი: მუხრუჭი თუ სტიმული? ამ კითხვაზე ერთმნიშვნელოვანი პასუხი არავის გაუცია. ორატორთა ნაწილი ფიქრობდა, რომ უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვისას უპირატესობათა არსებული სისტემა უარყოფით გავლენას ახდენს სპეციალისტთა მომზადების დონეზე. ახლა შეღავათი იმდენია, რომ ზოგჯერ ჩვეულებრივ კონკურსში გამარჯვებული აბიტურიენტებისათვის ადგილი აღარ რჩება. ერთი მხრივ, ალბათ არ არის მიზანშეწონილი იმათი ყოფითი და საწარმოო გამოცდილების უგულებელყოფა, ვისაც სურს აიმაღლოს განათლება. მეორე მხრივ, სტუდენტური აუდიტორიებისაკენ გზა ეკეტება საშუალო სკოლების ბევრ ნიჭიერ კურსდამთავრებულს.

უმაღლესი სასწავლებლების რექტორები ფიქრობენ, რომ სხვადასხვა შეღავათი ზრდის საშუალო სტუდენტთა რიცხვს, რომლებიც საშუალო სპეციალისტები ხდებიან. ამავე დროს საფუძვლიანი მოსაზრებები გამოითქვა მეორე პოზიციის დასასაბუთებლად.

— მეტი უნდა მივიღოთ ინსტიტუტებში იმ რაიონებიდან ლმობიერ სამოგზაურო ბილეთებით გამოგზავნილი ახალგაზრდები, სადაც იგრძნობა კონკრეტულ სპეციალისტთა მწვავე ნაკლებობა, — თქვა თეთრი წყაროს რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარემ **ა. ნ. შეხსიშვილმა.** — მტკიცედ ვართ დარწმუნებული, რომ კარგი ინჟინერი არ გამოვა კაცისგან, თუ იგი არ ყოფილა მუშა, ისევე როგორც გამოცდილი დირექტორი ვერ გახდება ის, ვინც რგვითი მუშაკი არ ყოფილა. მიზანშეწონილად მიგვაჩნია სასოფლო-სამეურნეო უმაღლეს სასწავლებლებში იმ ახალგაზრდების მიღება, რომლებსაც არ უმუშავიათ მინდვრად თუ ფერმაში და არა აქვთ რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების რეკომენდაციები.

დიახ, სწორი არიან ისინი, ვინც ამტკიცებს, რომ, რა თქმა უნდა ცოლი — დიასახლისი დიპლომიანია სასიამოვნო, მაგრამ სახელმწიფოსათვის ეს ზარალიანია. რა თქმა უნდა, ყოველნაირად უნდა შევეუწყოთ ხელი უმაღლეს სასწავლებლებში იმ მუშა და სოფლის ახალგაზრდების მიღებას, რომლებიც ინსტიტუტებში მოდიან საწარმოებისა და მეურნეობების საგზურებით და დიპლომის აღების შემდეგ ადგილებზე ბრუნდებიან.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ქვეყნის სხვადასხვა ქალაქის უმაღლეს სასწავლებლებში ულიმიტოდ შემსვლელი ახალგაზრდების პრობლემას. ხაზგასმით აღინიშნა, რომ საჭიროა ამ პროცესის მართვა, მეტი დაინტერესება ამ კატეგორიის ახალგაზრდების ცხოვრებითა და სწავლით.

სტუდენტთა კოლექტივის ჩამოყალიბებისას ოპტიმალურად უნდა შევუხამოთ ერთი ნაწილის ცოდნა მეორეთა გამოცდილებას. სტუდბილეთის მიღების უფლება უნდა მივცეთ ყველაზე ღირსეულთ, სწორედ ამ მიზანს ისახავს უმაღლეს სასწავლებლებში მიღების ახალი წესები.

უმაღლესი სკოლის ისტორიაში, ხაზგასმით აღინიშნეს ორატორებმა, იწყება დიდმნიშვნელოვანი ეტაპი — უმაღლესი სასწავლებლების გარდაქმნა ნამდვილ სასწავლო-სამეცნიერო ცენტრებად. უმაღლესი სასწავლებლის მეცნიერებას შეუძლია და კიდეც უნდა გახდეს ქვეყანაში ყველაზე ეფექტიანი და ეკონომიური მეცნიერება, ვინაიდან არსებულ სამეცნიერო პოტენციალს შეიძლება შეემატოს ასპირანტებისა და სტუდენტების მილიონიანი არმია.

რესპუბლიკაში შეძენილია უმაღლეს სასწავლებლებში მეცნიერული კვლევის ორგანიზაციის სასარგებლო გამოცდილება. სერიოზული მუშაობა წარმოებს კათედრების ფილიალებში და საწარმოების სამეცნიერო-საწარმოო უბნებზე. გასული ხუთწლედის მანძილზე სახალხო მეურნეობაში დაინერგა 558 ნამუშევარი, რომლებსაც 90 მილიონი მანეთის ეფექტი მოჰყვა.

ახალი დრო ახალ ამოცანებს სახავს. დღეს გადაჭრით უნდა გავადიდოთ უმაღლესი მეცნიერების წვლილი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებაში. უფრო აქტიურად გამოვიყენოთ უმაღლესი სკოლის უპირატესობანი, უწინარეს ყოვლისა სასწავლებლებში სხვადასხვა პროფილის მეცნიერთა კონცენტრაცია, კომპლექსური სახალხო-სამეურნეო და დარგობრივი სამეცნიერო-ტექნიკური პრობლემების დამუშავება, უზრუნველყოთ სამეცნიერო და სასწავლო მუშაობის ერთიანობა, კვლევაში სტუდენტთა ფართო ჩაბმა, ამ საფუძველზე სპეციალისტთა მომზადების ხარისხის გაუმჯობესება. ბოლო ასპექტს თათბირის მონაწილეებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრეს.

— მხედველობაში გვაქვს არა მარტო სტუდენტთა მიერ მიღწეული მეცნიერული შედეგები, — ამბობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი **ნ. ს. ამაღლობელი,** — არამედ მეცნიერული შემოქმედების ჩვევები, ორგანიზებულობა, ახლისადმი მისწრაფება. სტუდენტის მეცნიერულ მუშაობას მივიჩნევთ ეფექტიანი სასწავლო პროცესის ფორმად, რომლითაც ახალგაზრდები ეჩვევიან დამოუკიდებელ აზროვნებას. იმისათვის, რომ მეცნიერული მუშაობა ნამდვილად მასობრივი გახდეს, არსებითად უნდა შევამციროთ სავალდებულო ლექციების რიცხვი, მეტი დრო დავუთმოთ დამოუკიდებელ შემოქმედებითს მუშაობას.

თათბირის მონაწილეთა ზოგიერთი წინადადება სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტისათვის:

გაპაძლიერეთ ზოგადსაგანმანათლებელი სკოლისა და ახალგაზრდობის პროფესიული ორიენტაციით დაინტერესებულ ორგანიზაციათა როლი.

დავაჩქაროთ უმაღლეს სკოლაში საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიური და საცდელ-ექსპერიმენტული ბაზის განვითარება.

გავაზარდოთ სამეურნეო ორგანოების პასუხისმგებლობა უმაღლესი სასწავლებლების ნამუშევართა პრაქტიკული გამოყენებისათვის.

მოქალაქეობრივობის დიპლომი

— **არა** მარტო სპეციალისტის, არამედ, უწინარეს ყოვლისა, მოქალაქის მომზადება გადამწყვეტილად არის დამოკიდებული მასწავლებლის პირად მაგალითზე, — ხაზი გაუსვა თათბირის მუშაობაში მონაწილე სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრმა **გ. ა. იაგოდინმა.** — ეკონომიკური და სოციალური პროგრესის დაჩქარების ამოცანათა გადაჭრაში არნახულად იზრდება ჰარმონიულად განვითარებული, საზოგადოებრივად აქტიური პიროვნების მნიშვნელობა. განსაკუთრებულ აქტუალურობას იძენს სპეციალისტის ზნეობრივი პოზიციის ჩამოყალიბებაში უმაღლესი სკოლის როლის გაძლიერება. უნდა დავძლიოთ საქმის რაოდენობრივი მხარით გატაცება შინაარსის საზიანოდ, ქვაკუთხედად მივიჩნიოთ თითოეული სტუდენტისადმი ინდივიდუალური მიდგომა. სპეციალისტის ჩამოყალიბება უშუალოდ არის დამოკიდებული პროფესორ-მასწავლებელთა თვისებრივ შემადგენლობაზე. დროა უფრო ფართოდ ჩავაბათ პედაგოგიურ მუშაობაში გამოცდილი მეურნეები, დარგობრივი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მუშაკები.

მაგრამ აძლევს კი სტიმულს არსებული საქმის ვითარება „გარედან“ ლექტორთა მოზიდვას?

— ახლა პედაგოგის შრომის ანაზღაურება ლექციების ხარისხზე არ არის დამოკიდებული, — დაიჩივლა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რექტორმა **ო. გ. ნათიშვილმა.** — უმაღლესი სასწავლებელი ანაზღაურებს არა დახარჯულ შრომას, არამედ სამეცნიერო ხარისხს. სწორია თუ არა ეს? ვფიქრობ, რომ არა.

თათბირის მონაწილეებმა ხაზი გაუსვეს, რომ საჭიროა სტიმულირების ისეთი სისტემის დამყარება, რომელიც წაახალისებს მასწავლებელთა კადრების, მათ შორის იმ ლექტორების კვალიფიკაციის ამაღლებას, ვისაც არა აქვს სამეცნიერო ხარისხი.

მოსწავლე ახალგაზრდობის ზნეობრივი აღზრდისადმი არაფორმალურმა შემოქმედებითმა მიდგომამ მნიშვნელოვანწილად უნდა განსაზღვროს მოქალაქეობრივი პოზიციის ჩამოყალიბების ეფექტიანობა, უმაღლესი სკოლის საქმიანობის საბოლოო შედეგი. ამ ამოცანის გადაწყვეტის გზები მრავალფეროვანია და მოიცავს სტუდენტური ცხოვრების სხვადასხვა ასპექტს.

— იმედი გაამართლა ქალიშვილებისა და ჰაბუკების ინტერნაციონალური და პატრიოტული აღზრდის უკვე ჩამოყალიბებულმა და ტრადიციად ქცეულმა ფორმებმა,— გამოცდილების გვიზიარებს პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი **რ. მ. ბუტბა.** ეს არის სტუდენტური დღეები, რომლებიც ყოველწლიურად ეწყობა, ხანგრძლივი ურთიერთობა ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლების კრლქვეყნებთან, სოციალისტური ქვეყნების სასწავლებლებთან. პოლიტიკური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს შეხვედრები შრომითს კოლექტივებთან, კულტურის მოღვაწეებთან, მეცნიერებთან, პარტიის, ომისა და შრომის ვეტერანებთან.

ახალგაზრდობის აღზრდის პროცესის მართვას, აღინიშნა კრებაზე, რესპუბლიკაში დიდი ხნის კარგი ტრადიციები აქვს. მაგრამ ამავე დროს საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლება ყოველთვის როდი აკმაყოფილებს გაზრდილ მოთხოვნებს, იმ ამოცანებს, რომლებსაც დღეს პარტია გვისახავს. საიდუმლო არ არის, რომ ზოგჯერ საზოგადოებათმცოდნეთა ლექციები ჩამორჩება თანამედროვე მეცნიერულ დონეს, ისინი არ შეიცავენ ბურჟუაზიული პროპაგანდის მიერ გამოყენებული ფალსიფიკაციებისა და ჭორების დასაბუთებულ კრიტიკას. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების ძირითადი ნაკლი ის არის, თქვეს ორატორებმა, რომ ჯერჯერობით ნელა ინერგება პრობლემური ლექციები. თითოეული მათგანი ხომ მაღალი შემოქმედების, მოვლენების ღრმა ანალიზის ჭეშტი უნდა იყოს, აშუქებდეს სტუდენტების წინაშე განსახილველი პრობლემების მარქსისტულ-ლენინური ინტერპრეტაციის ჭეშმარიტებას, ძალასა და საფუძვლიანობას.

ბოლო დროს მწვავედ დადგა სწავლების პროცესში სტუდენტთა შრომითი საქმიანობის გაფართოების საკითხი. ეწყობა არასრული სამუშაო დღისა და არასრული სამუშაო კვირის პირობებში სტუდენტთა და მოსწავლეთა შრომითი მოწყობის ექსპერიმენტი. ეს უკვე განხორციელდა რუსთავის პოლიტექნიკურ, ქუთაისის ავტომექანიკურ ტექნიკუმებში. აწის შედეგად გაუჯობესდა ქალიშვილებისა და ჰაბუკების თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, გაიზარდა მათი წვლილი წარმოების ორგანიზაციაში, დაჩქარდა ახალგაზრდების მოქალაქეობრივი პოზიციების ჩამოყალიბების პროცესი.

უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დოკუმენტი უნდა იყოს ამავე დროს მოქალაქეობრივი და პროფესიული სიმწიფის დიპლომი.

უმაღლესი სკოლა ცოვალეა უზრუნველყოს ყოველდამთავრებულთა ცოდნის მაღალი დონე მთელი მათი პრაქტიკული საქმიანობის მანძილზე, — თქვა საქართველოს შ. რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის რექტორმა **ე. ნ. გუგუშვილმა,** — საკვალიფიკაციო ატესტაციაში, რომელიც თან ერთვის დიპლომს, უნდა აისახებოდეს სპეციალისტის პროფესიული ზრდა.

რა ვიუოთ იმათ, ვინც უკვე ინსტიტუტში სწავლის პროცესში ვერ გასცდა საშუალო დონეს? აქაც ოპტიმალური გადაწყვეტაა საჭირო.

— ამ პრობლემის გადაჭრას ასე ვაპირებთ, — თქვა თბილისის საბჭედიცინო ინსტიტუტის რექტორმა **ა. ვ. ახალიანმა.** — თუ სტუდენტი მესამე კურსამდე ვერ გამოიჩენს ექიმის პასუხსაგები და შრომატევადი პროფესიისათვის საჭირო ცოდნის შეძენის უნარს,— ამ კურსის დამთავრების შემდეგ მივანიჭებთ ფერშლის კვალიფიკაციას.

საბჭოთა საზოგადოების განვითარების ახალი ეტაპი, ხაზგასმული ორატორთა გამოსვლებში, გადიდებულ მოთხოვნებს უყენებს ნომავალი სპეციალისტების პროფესიულ მომზადებას, პოლიტიკური კულტურის დონეს, იდეურ სიმტკიცეს, სოციალურ აქტიურობას. ამიტომ უაღრესად საჭიროა უმაღლესი სკოლის საქმიანობის ყველა მექანიზმის განუწყვეტელი სრულყოფა.

თათბირის მონაწილეთა ზოგიერთი წინადადება სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტისათვის:

დაწესდეს დიფერენცირებული დიპლომები და მათ შესაბამისად ახალგაზრდა სპეციალისტს დაენიშნოს საწყისი ხელფასი, რომელსაც იგი მიიღებს პირველ ატესტაციამდე.

ინსტიტუტის დამთავრებიდან ათი წლის შემდეგ ყოველ ხუთ წელიწადში მოეწყოს ატესტაცია: იმათ მიმართ, ვინც ატესტაციას ვერ გაიარეს, განხორციელდეს უმკაცრესი ღონისძიებანი, დიპლომიც კი გაუუქმდეს.

გაიზარდოს უმაღლესი სკოლის პასუხისმგებლობა ახალგაზრდა სპეციალისტთა მოქალაქეობრივი სიმწიფის ჩამოყალიბებისათვის.

(საქინფორმი).



საკვებ-მომპოვებელთა მწვანე ალაბა



ქალაქ გაგრის ზონის მეურნეობებში მიმდინარეობს საკვების მასობრივი დამზადება. მექანიზატორებმა უნდა ჩადონ 4 ათასი ტონა სენაჟი, რაც გეგმით გათვალისწინებულზე 750 ტონით მეტია.

თიბვის დროს გამოირჩევიან სოფელ ალახადის ს. ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის საკვებმომპოვებელები, მათ უკვე ჩადეს ათას ტონაზე მეტი სენაჟი.

სურათებზე: სასენაჟე ბალახის თიბვა გაგრის მერძევეობის საბჭოთა მეურნეობა-კომბინატში; დილიდან გვიან საღამომდე თიბავს ამ დღეებში ბალახს სოფელ ალახადის მოწინავე მექანიზატორი ვლადიმერ აბშილავა; სენაჟის ჩადება ქალაქ გაგრის ზონის ს. ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში.

ი. ბოხოლელიძის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მეგობრობა გზად და ხიდად

ქმობა, რომელიც წლობით იჭედებოდა

იმ დღეს წყალტუბოს ზონის სოფელ გვიშტიბის ძმათა სასაფლაოზე საზეიმოდ გაიხსნა შინმოუსვლელთა ხსოვნის დიდებული მემორიალი. ამ ღონისძიებაში მონაწილეობდა გუდაუთის რაიონის მშრომელთა დელეგაციაც, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ცნობილი რევოლუციონერის ნესტორ ლაკობას მშობლიური სოფლის — ლიხნის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე, სკკპ XXVII ყრილობის დელეგატი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ხაკობი აიბა და სოფლის მოწინავე კოლმეურნეები.

საქმე ის არის, რომ გვიშტიბსა და ლიხნს მჭიდრო ურთიერთობა აკავშირებთ, სოციალისტურ შეჯიბრებაში არიან ჩაბმული ერთმანეთთან...

ყოველივე ეს კი ასე დაიწყო: მძიმე იყო გვიშტიბელთა ხვედრი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე. ჭირდა ცხოვრება, და აქაური ახალგაზრდები 900-იან წლებში სამრეწველო ადგილებში — ჭიათურაში, ბათუმსა და სხვაგან მიდიოდნენ სამუშაოდ. აქ ისინი რევოლუციონერებთან ამყარებდნენ კავშირს. ამის ერთ-ერთი ნათელი მაგალითია აფხაზი ხალხის სახელოვანი შვილის ნესტორ ლაკობას კავშირი გვიშტიბელ რევოლუციონერებთან — რომანოზ შვანგირაძესთან, ნიკოლოზ ცანავასთან, ალიოშა იოსელიანთან და სხვებთან.

ნესტორ ლაკობა 1917-1918 წლებში არალეგალურად ხშირად ჩამოდიოდა ქუთაისში, მის ახლომახლო სოფლებში, მათ შორის გვიშტიბშიც, ხვდებოდა თანამოაზრეებს, ვლეხთა წინაშე გამოდიოდა მეწმენდეების წინააღმდეგ. მათი დახმარებით აგროვებდა იგი ტყვია-წამალს და იარაღს სოხუმის აჯანყებისათვის, რომელიც 1918 წლის გაზაფხულზე დაიწყო. აჯანყება, რომელშიც გვიშტიბელებიც აქტიურად მონაწილეობდნენ, მარცხით დამთავრდა. ამ ბრძოლას შეეწირა რ. შვანგირაძე, ხოლო სატუსაღოში მყოფი სიკვდილმისჯილი ა. იოსელიანი 1921 წლის მარტში აფხაზეთში შემოსულმა წითელი არმიის ნაწილებმა გაათავისუფლეს...

ყოველივე ამის თაობაზე მკითხველებს მოუთხრობდა გაზეთ „დროშის“ 1984 წლის 8 დეკემბრის ნომერში პედაგოგი მიხეილ იოსელიანი. ამ წერილით დაინტერესდნენ ნესტორ ლაკობას მშობლიური რაიონის პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელები, აფხაზი მეცნიერები, გუდაუთის რაიონული გაზეთის რედაქციის მუშაკები.

გაზეთ „ბზიფის“ გასული წლის 25 აპრილის ნომერში დაიბეჭდა აღნიშნული მასალა ფოტოსურათით, რომელზეც აღბეჭდილი არიან რევოლუციონერები ნიკოლოზ ივანოვი, ნიკოლოზ ცანავა, ნესტორ ლაკობა და ალიოშა იოსელიანი.

და აი, შარშან მაისში აფხაზეთის ასს რესპუბლიკისა და ქალაქ სოხუმის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე, რომელიც საკავშირო და რესპუბლიკური გარდამავალი წითელი დროშების გადაცემას მიეძღვნა, წყალტუბოელთა დელეგაციაც მიიწვიეს. აქტივის კრების მონაწილეებმა მოიწონეს წინადადება ნ. ლაკობას მშობლიური სოფლის — ლიხნის XXIV პარტყრილობის სახელობისა და ვვიშტიბის კარლ მარქსის სახელობის კოლმეურნეობებს შორის შრომითი მეტოქეობის გაჩაღების შესახებ.

მალე აფხაზეთის ჟურნალისტები გვიშტიბს ეწვივნენ. მათ დათვალიერეს სოფლის ღირსშესანიშნავი ადგილები, ყოფილი მჭედლის სოლომონ თუთბერიძის შთამომავლების მიერ რელიკვიასავით შენახული სახელოსნო, სადაც ამზადებდნენ სოხუმის აჯანყებისათვის საჭირო შაშხანებსა და სხვა იარაღს, შეხვდნენ სოფლის თავკაცებს, აქტივს, პარტიელი, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელებს.

ამ შეხვედრებს მიეძღვნა გაზეთ „ბზიფის“ შარშანდელი 30 მაისის ნომერში გამოქვეყნებული წერილი „ლაკობას ნაკვალევზე“. მალე გაზეთებმა გვერდები გაუკვალეს ერთმანეთს...

წლეულს აფხაზი მეგობრები გაეცნენ შრომითი მეტოქეების მიღწევებს. დაათვალიერეს კოლმეურნეობის ობიექტები, ქალაქ კურორტის ახალშენებლობანი და სხვა ღირსშესანიშნავი ადგილები, მონაწილეობა მიიღეს გვიშტიბის ძმათა სასაფლაოზე მემორიალური კომპლექსის გახსნის ცერემონიალში.

შემდეგ ზეიმმა სოფლის ცენტრში გადაინაცვლა. კოლმეურნეობის კლუბ-კინტორის ეზოში გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი, რომელიც აფხაზი ხალხის სახელოვანი შვილის ნესტორ ლაკობას ბარელიეფის გახსნას მიეძღვნა.

გაფორმდა ლიხნისა და გვიშტიბის კოლმეურნეობებს შორის 1986 წლის სოციალისტური შეჯიბრება.

აფხაზმა შეგობრებმა მასპინძლებს ჩამოუტანეს ნესტორ ლაკობას პორტრეტი, რომელიც სხვა ისტორიულ რელიკვიებთან, სახელოვანი რევოლუციონერის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველ სტენდთან ერთად მომავალში სოფლის მუზეუმში დაიკავებს ადგილს.

სტუმრებს გადაეცათ სამახსოვრო საჩუქრები. ეს შეხვედრა გადაიქცა ხალხთა ძმობისა და შეგობრობის დემონსტრაციად.

დ. ბედენიძე,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

„ქოქუნისტის“ საგუშაგო

მეჩაიეობაში თავისი ხვედრითი წილით გალის რაიონი მესამე ადგილზეა. აქ უკანასკნელ ხანს წელიწადში 50 ათას ტონაზე მეტ ხარისხოვან ჩაის ფოთოლს კრეფენ და ამუშავებენ. ეს იოლი საქმე როდია. ასეა წლეულსაც, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ახლა უკონდიციო და უხარისხო ნედლეულს ფაბრიკები არ მიიღებენ, ხარისხისათვის ბრძოლა უპირველესი საბრძოლო ამოცანაა.

ხუთწლედის პირველი წლის ფოთლის კრეფის სეზონი გალელებმა დაიწყეს დევიზით „ხარისხია მეჩაიეთა შრომის განმსაზღვრელი!“ იგი თითოეული საზოგადოებრივი მეურნეობის, ბრიგადის, რგოლის, რიგითი მეჩაიის, მექანიზატორის, დამხმარე მუშის საბრძოლო ამოცანად გადაიქცა. მათთან ერთად ნედლეულის გადამმუშავებელი მრეწველობის მუშაკები ერთსულოვნად ჩაებნენ გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციისა და საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის მიერ დაწესებული გარდამავალი დროშებისა და პრიზების მოსაპოვებლად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

გალის რაიონში აპრილში იშვიათია მშრალი, თბილი ამინდი; წლეულს კი იყო, რამაც ჩაის ვეგეტაცია დაიჩქარა. შემდეგ კი მაისის ხშირი წვიმები დაერთო, ტემპერატურა მკვეთრად დაქვეითდა. სიცივემ ჩაის დუყების განვითარება შეაჩერა. საგანგებო ზომების მიღება იყო საჭირო, რომ გადაყრუებული დუყები სწრაფად მოეკრიფათ, რათა ბუჩქის ვეგეტაცია არ შეფერხებულიყო. დამატებითი შრომითი რესურსების მობილიზებით, საშემსრულებლო დისციპლინის გაძმტკიცებით, მინდობილი საქმისათვის დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით ბევრმა საზოგადოებრივმა მეურნეობამ, სახელოვანმა მეჩაიემ, მექანიზატორმა უამინდობას სძლიეს, დარსა და ავდარში გარჯას არ იშურებდნენ, საქმეც წინ წასწიეს, ფაბრიკებს გადასამუშავებლად კარგი ნედლეული მიაწოდეს და გვარიანი ანაზღაურებაც მიიღეს. ასეთი მოწინავე მეურნეობების და მეჩაიეების დასახელება შორს წაგვიყვანს, მაგრამ ორ მათგანს დავასახელებ. ჩვენი აზრით, ამ საქმეში სათანადო წესრიგის დამყარების დრო დადგა. ქვეყანაში ხომ არ არსებობს საგალდებულო უმაღლესი განათლება — მაშასადამე, არც არის ყველასათვის დიპლომის მიცემის საჭიროება.

იბადება კითხვა: საჭიროა კი ქრონიკულად ჩამორჩენილი სტუდენტების სახელმწიფო გამოცდამდე მიყვანა? ხომ შეიძლება სახელმწიფო სახსრების უაზრო ხარჯვის პროცესის გაცილებით ადრე შეჩერება. საჭიროა გაძლიერდეს მუშაობა ახალგაზრდობის პროფესიული ორიენტაციისათვის, გაიზარდოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პასუხისმგებლობა თავიანთი კურსდამთავრებულების ცოდნის დონისათვის, ამაღლდეს უმაღლესი სასწავლებლების მიმღებ კომისიათა როლი.

— ჩვენ სტუდენტების ერთობ სუსტ კონტინგენტთან გვიწევს მუშაობა, — განაცხადა თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორმა **რ. ვ. მეტრეველმა.** — ბოლო ხუთი წლის მანძილზე ჩვენს უმაღლეს სასწავლებელში მისაღებ გამოცდებზე მაპროფილებელ საგანში არადამაკმაყოფილებელი შეფასებები მიიღო მედალისანი აბიტურიენტების 80 პროცენტმა. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა და პედაგოგიური სასწავლებლები ჯერაც ვერ იქცნენ მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადების ერთიანი სისტემის ურთიერთდაკავშირებულ რგოლებად.

ამ შემთხვევაში საქმე ეხება არა სკოლებში ცოდნის გარკვეული მარაგის შეძენას, არამედ იმის აუცილებლობას, რომ უკვე უფროს კლასებში შევუქმნათ ქალიშვილებსა და ჰაბუკებს პროფესიული ჩვევების საფუძვლები. ამ მუშაობას უნდა ვეწეოდეთ დიფერენცირებულად, ვითვალისწინებდეთ თითოეულის მიდრეკილებას ამა თუ იმ მომავალი სპეციალობისადმი.

მწვავე დისკუსია გაიმართა თათბირზე უმაღლესი სკოლის ერთ-ერთი მთავარი პრინციპის — აბიტურიენტთა უნარის მიხედვით შერჩევის პრინციპის განხილვის გამო. შეღავათი: მუხრუჭი თუ სტიმული? ამ კითხვაზე ერთმნიშვნელოვანი პასუხი არავის გაუცია. ორატორთა ნაწილი ფიქრობდა, რომ უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვისას უპირატესობათა არსებული სისტემა უარყოფით გავლენას ახდენს სპეციალისტთა მომზადების დონეზე. ახლა შეღავათი იმდენია, რომ ზოგჯერ ჩვეულებრივ კონკურსში გამარჯვებული აბიტურიენტებისათვის ადგილი აღარ რჩება. ერთი მხრივ, ალბათ არ არის მიზანშეწონილი იმათი ყოფითი და საწარმოო გამოცდილების უგულებელყოფა, ვისაც სურს აიმაღლოს განათლება. მეორე მხრივ, სტუდენტური აუდიტორიებისაკენ გზა ეკეტება საშუალო სკოლების ბევრ ნიჭიერ კურსდამთავრებულს.

უმაღლესი სასწავლებლების რექტორები ფიქრობენ, რომ სხვადასხვა შეღავათი ზრდის საშუალო სტუდენტთა რიცხვს, რომლებიც საშუალო სპეციალისტები ხდებიან. ამავე დროს საფუძვლიანი მოსაზრებები გამოითქვა მეორე პოზიციის დასასაბუთებლად.

— მეტი უნდა მივიღოთ ინსტიტუტებში იმ რაიონებიდან ლმობიერ სამოგზაურო ბილეთებით გამოგზავნილი ახალგაზრდები, სადაც იგრძნობა კონკრეტულ სპეციალისტთა მწვავე ნაკლებობა, — თქვა თეთრი წყაროს რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარემ **ა. ნ. შე

ფაქტები • მოვლენები

ლიტერატურის ძალაა ცხოვრებისეული სიმართლე

(დასასრული)

...ბოლო დროის საუკეთესო მხატვრული ნაწარმოებები ცხადყოფს, რომ ლიტერატურა ცოცხლდება, ვითარდებოდა და გრძნობდა, რომ საზოგადოებაში მომწიფა თვისებრივად ახალ საფეხურზე გადასვლის საჭიროება. იგი შიგნიდან მომზადებული აღმოჩნდა ... კურსისათვის, რომელსაც პარტია დაადგა. იგი პოულობდა ... ყოფის მტკივნეულ წერტილებს, სოციალურ-სულიერ სფეროში არასასიკეთო ტენდენციებს. ... სოციალური და ზნეობრივი პრობლემები, რომელიც ... საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრშია, წამოყენებულია ... ყველა რესპუბლიკის ... მიერ შექმნილ მთელ რიგ ... ნაწარმოებებში.

...ამავე დროს უნდა ვაღიაროთ, რომ მკითხველები გვისაყვედურებენ, ბევრი უსახური და კონფლიქტური ნაწარმოები იქმნება ... ლიტერატურასა ... ფსევდოლიტერატურას შორის. ... დროდადრო იშლება, იჩქარდება, თანაც მნიშვნელოვანად კრიტიკოსების დახმარებით, რომლებიც უგულებელყოფენ ობიექტურობას.

...დროის მოთხოვნა, თანამედროვეობის დინებანი, ხალხის სინანულის ხმა... ეს მარადიული და ეს ... ყოველთვის ახალია. ლიტერატურული ყოფიერების მთავარი თანმხლებრეობა ხელოვანთა წყურვილი ჩაწვდნენ თანამედროვე სინამდვილეს, ღრმად შეიცნონ ადამიანი, მისი მოქმედება და გრძნობები. ეს არის ტრადიცია, რომელიც კლასიკოსებმა გვიანდერძეს. ეს არის ჩვენი სოციალისტური პირველშობილობის ნიშანი.

პარტიის კურსი, რომლის მიზანი ტალანტის პატივისცემა, ტალანტის მხრდაჭერა, მთლიანად სავსებით შეესაბამება სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის მიერ ... სოციალურ-ეკონომიკური და სულიერი განვითარების ... ჩამოყალიბების სტრატეგიულ კონცეფციას, რომელიც პარტიის XXVII ... ბამ განავითარა. არც პარტიას, არც ხალხს, ზაზგასმით აღიარებია ყრილობაზე, არ სჭირდებოდა პარადული წერამრავლობა და ... ყოფაქცევიობა, კონფლიქტურულობა და საქმოსნობა. ... საზოგადოებრიობა მწერლისაგან ... მხატვრულ აღმოჩენებს, ... ობიექტურ სიმართლეს, რომელიც მუდამ იყო ნამდვილი ხელოვნების არსი.

პარტიის ნდობა ნიადაგ იზრდება, ღრმავდება, ჩვენი განვითარების კვალობაზე სულ უფრო ... ხდება. ჯერ არასოდეს არ ... ასეთი ეს ... ნდობა შემოქმედებითი ... ინტელიგენციის, ... ინტელიგენციის, ...

ლამაზი ცხოვრების შეულამაზებელი სურათი

ტელეეკრანთან

ხელოვნების ნიმუშის დაბადება ყოველთვის ამაღელვებელია. სიხარულთან და აღტაცებასთან ერთად მან საზოგადოების ნაწილში შეიძლება უარყოფა, აღშფოთებაც კი გამოიწვიოს, მაგრამ ერთი რამ გარდუვალია: საყურადღებო აზრებს და ემოციებს უცილობლად წარმოშობს ნამდვილი მხატვრული ნაწარმოები.

ვინც ახლახან საქართველოს ტელევიზიის პირველი პროგრამით ნახა ტელეფილმების სტუდიაში შექმნილი ახალი სურათი — „გამჭოლი მოქმედება“, უთუოდ დაგვეთანხმება, რომ წარმოუდგენელია არ გაგიჩნდეს აქტიური დამოკიდებულება იმის მიმართ, რაც მისმა ავტორებმა შემოგვთავაზეს.

თუ ვიწამებთ აზრს, რომ ადამიანი საიდუმლოა, იმაშიც შევთანხმდებით, რომ უპირველესად ეს შემოქმედზე ითქმის, ასეთ იდუმალებით სავსე პიროვნებასთან, მის მდიდარ სულიერ სამყაროსთან „ჭიდილი“ განიზრახეს ომარ გვასალიამ და გიორგი ლევაშოვ-თუმანიშვილმა, როდესაც ხელი მოჰკიდეს მიხეილ თუმანიშვილზე ფილმის შექმნას.

პორტრეტული კინონარკვევი, ფილმი-პორტრეტი, რა დასამალია, და, ჩვენში მეტწილად უნდობობას იწვევს, რადგან ძალიან ხშირად შევხვდრივართ ტრაფარეტს, ადამიანის შელამაზებულ, ცუდი გაგებით ეკრანული ცხოვრების ჩვენებას.

ეს საშიშროება ყველა რეჟისორს მოელის, იმას კი, ვინც მიზნად დაისახავს მიხეილ თუმანიშვილის ფილმ-პორტრეტის შექმნას, — მეტადრე, ვინაიდან ცხობილია, რომ ხელოვანი არც ინტერვიუზე თანხმდება ადვილად, არც შემოქმედებითს ლაბორატორიაში ვინმეს შემოჭრის მომხრეა და არც თავის მიმართ ქებათ ტკბობის მოყვარულია.

თუ იმასაც დავუმატებთ, რომ სიმართლე და უკომპრომისობა სჩვევია, განსაკუთრებით, როცა საქმე ხელოვნებას, შემოქმედებას შეეხება, ადვილი მისახვედრია, თუ რა რთულია ასეთ „ობიექტთან“ მუშაობა.

... ავტორი შორიდან იწყებს თხრობას: გვაცნობს ძველი თბილისის ეზოს, სადაც გაიზარდა ფილმის გმირი, მეზობლებს, რომლებსაც „პატარა მიშა“ ახსოვთ; გადაშლის ალბომებს მისი ბავშვობისდროინდელი ფოტოსურათებით, მშვენიერი ოცნებებით გამსჭვალული ჩანაწერებით. ეკრანზე ჩნდება ძველი თბილისის, ძველი მოსკოვის ამსახველი კინოჭრონიკა, რამდენიმე წუთი, და მაყურებელი უკვე ჭაბუკი მიხეილ თუმანიშვილის ფართოდ გახელილი თვალებით აკვირდება სამყაროს და მასავით უძგერს გული, რომელიც ყოველ წუთს ეძახის: „წინ — ხელოვნებისაკენ!“. ეს ფიქრი, ოცნება არ ტოვებს მას ფრონტის წინა ხაზზეც, როცა ირგვლივ მბოლოდ ქვემეხების გრიალი და დაჭრილთა გოდება ისმის.

როგორც ფილმის ტიტრებშია აღნიშნული, იგი მოგვითხრობს გვარდიის უფროსი სერჟანტის, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. ამიტომ ეთმობა სურათში ასეთი დიდი ადგილი ომს, ფრონტელის თავგადასავალს, რომელიც, საბოლოოდ, საბჭოთა ჯარისკაცის განზოგადებულ სახედ იქცევა. ეს არის ფილმის ერთი გამჭოლი მოქმედება — წარსული, რომელმაც წარუშლელი კვალი დაარჩინა მთელ ცხოვრებას. მეორე — ასევე გამჭოლი მოქმედება არის „წინ — ხელოვნებისაკენ!“ — მთელი განვლილი გზისა და მომავლის აზრი და მიზანი.

ავტორები „მცირე დოზებით“, თანდათან გვახვედრებენ, გვაცნობენ თავიანთ გმირს — თხრობა შეუმჩნევლად გადადის ჩვენებაში: ჯერ ხასიათის ერთ შტრიხს ვეცნობით, შემდეგ ვხედავთ, როგორ ფიქრობს, როგორ აყალიბებს პასუხს — მოსალოდნელ თუ მოულოდნელ კითხვაზე. პიროვნების შესახებ თავიდან მიღებულ ძუნწ ინფორმაციაზე იკინძება მისი იუმორის გრძნობა, წარსულის გახსენებით აღძრული სევდა, ცდა — თავი აარიდოს რაღაც კითხვას, მოგონებას...

წამყვანისა და სურათის გმირის ამ დიალოგების ერთ-ერთი დიდი ღირსებაა გულახდილი, მოულოდნელი კითხვები და ასეთივე პირდაპირი პასუხები. არც ერთი მათგანი არ ცდილობს „შეალამაზოს“ მიხეილ თუმანიშვილის პიროვნება, არ ერიდება სმართლეს — მისი ხასიათის დადებით მხარეებზე მეტყველებს, თუ უარყოფით თვისებებს აშკარავებს.

ფილმის შემქმნელთა ეს პირდაპირობა კიდევ ერთ გამოხატვას პოულობს სურათში მონაწილე ხელოვნების მოღვაწეთა გამოსვლებში, რომლებსაც ფილმის მეორე ნახევარში ეთმობათ ეკრანი, აკაკი წერეთელი გვთავაზობს საკითხების მთელ რიგს, რომლებიც იწვევს მიხეილ თუმანიშვილის კოლეგების გულახდილობას: როგორია რეჟისორი მუშაობაში, ურთიერთობაში, რატომ დატოვა მან თავის დროზე რუსთაველის თეატრი... ეს ყოველივე და ყველა სხვა ეპიზოდები, რომლებიც მიხეილ თუმანიშვილის დღევანდელ ცხოვრებას ასახავს, ემსახურება ერთ მიზანს — გაგვაცნოს შემოქმედი, წარმოგვიდგინოს პიროვნება ისეთი, როგორიც სინამდვილეშია. და ამ მხრივ ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უკავია მუშაობის პროცესს ჩვენებას, სცენების რიგს, რომლებიც ჩაგვაზიდებს „მიხეილ თუმანიშვილის თეატრში“ — ხელოვანისა და პედაგოგის შემოქმედებით ლაბორატორიაში, დაგვანახვებს მსახიობის აღზრდის, სპექტაკლის დაბადების რთულ, წინააღმდეგობრივ და მომხიბლავ პროცესს.

„გამჭოლ მოქმედებაში“ მიღწეული ეს შედეგი ერთხელ კიდევ გვარწმუნებს იმ გზის სისწორეში, თვისი შემოქმედების დასაწყისში რომ აირჩია გიორგი ლევაშოვ-თუმანიშვილმა. მან პირველსავე ფილმებში — „პრემიერა“, „მე ვარ ლუბა ნიკორაძე“, „ექსპერიმენტი“ — მიაგნო დოკუმენტური მასალის მხატვრული გააზრების საკუთარ მეთოდს. „გამჭოლი მოქმედება“ — მისი, მკვეთრად განსხვავებული ხელწერის, მის მიერ უკვე ზედმიწევნით აპრობირებული ხერხების განვითარებისა და სრულყოფის შედეგად შექმნილი ნაწარმოებია.

ვფიქრობთ, არ შეცდებით, თუ ეიტყვით, რომ ამ მეთოდის არსი თუ არა, არსებითი ნიშნითვისებათაგანია — „გამოცხადებული“ პირობითობა, რომლის გამოაშკარავების გზით ავტორი საკონტაქტოდ იწვევს მაყურებელს. ის გვახედებს თვითონ ფილმში, მისი შექმნის პროცესში და გვაიძულებს მივიღოთ ზოგიერთი დადგმული ეპიზოდი (მაგალითად, მიხეილ თუმანიშვილის არქივის შესწავლის, ან კიდევ თავათ ლევაშოვ-თუმანიშვილის მიერ სურათის გახმოვანების პროცესი). ამრიგად, მაყურებელი შეიპყრობს ავტორთა მიერ შექმნილ სამყაროში და ამ სამყაროს სიკეთისა და სილამაზის ტყვეობაში ექცევა.

რასაკვირველია, ეს ტყვეობა განპირობებულია ავტორთა ჩაფიფქრის ოსტატური ხორცშესხმით და აქ უპირველესად უნდა ითქვას ფილმის ორგანულ წყობაზე, კომპოზიციურ აგებულებაზე, აზრობრივ მონტაჟზე (ეს უკანასკნელი განსაკუთრებულ სიცხადეს იჩენს ბოლო ნაწილში, სადაც თითქოს ერთ მთლიანობად იქცევა რეპეტიციებზე გათამაშებული სცენების პერსონაჟთა დიალოგები და მიხეილ თუმანიშვილის კოლეგების რეპლიკები).

თუ ფილმის გამომსახველობის საშუალებებს შევეხებით, არ შეიძლება არ აღინიშნოს ოპერატორ ნოდარ ნამგალაძის ოსტატობა, რომელსაც ადრეც უმუშავია რეჟისორ გიორგი ლევაშოვთან ერთად.

„გამჭოლ მოქმედებაში“ ომმოყენებული ორგანულობა, ინტიმური ლირიკა, ადამიანური ურთიერთობის შესანიშნავი დღესასწაული“.

„ინგლისელმა ფეხბურთელებმა გამოცდა ვერ ჩაიბარეს, აღნიშნავს ვარშავის გაზეთი „რეჩ პოსპოლიტა“ და დასძენს: „ინგლისის ნაკრებში ვერ ვიხილეთ ისეთი ფეხბურთელი, რომელიც გუნდს წინ წარუძღვებოდა, არგენტინელთა ნაკრებში კი ასეთი იყო მარადონა“.

ესპანელთა მწვრთნელმა მუნიოსმა მატჩის შემდეგ აღნიშნა, რომ მის გუნდთან ბელგიელებმა ანტიფეხბურთის დემონსტრაცია მოახდინეს. თამაშის თითქმის 120 წუთის განმავლობაში ისინი მხოლოდ ჩვენი იერიშების მოგერიებაში იყვნენ. მაგრამ ისიც მართალია, რომ ჩვენს ფეხბურთელებს ბრალი მიუძღვით იმაში, რომ ვერ შეძლეს ბელგიელთა მასირებული დაცვის გარღვევა.

ტალღაზე

საჩემპიონატო კაბადონი

ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციის დირექტორმა პედრო ლოპესმა განაცხადა, რომ მის „ქვეყანაში არიან ისეთი ახალგაზრდა ფეხბურთელები, რომლებიც შეძლებენ 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატში გამარჯვებას, ოღონდ საჭიროა ორგანიზაციული გარდაქმნები“. ბრაზილიის გაზეთი „კორეიუ ბრაზილიენსი“ წერს, რომ „ბრაზილიის ნაკრების დამარცხება არა მარტო მწვრთნელ ტელე სანტანას კარიერის დასასრულს ნიშნავს, არამედ ბრაზილიელი „ვარსკვლავებისაც“. ამიერიდან ხომ ნაკრებში აღარ იქნებიან ისეთი ცნობილი ფეხბურთელები, როგორებიც არიან ზიკო, სოკრატესი, ჟუნიორი, ფალკაო, დირსეუ და სერეზო...“.

ბულგარეთის გაზეთი „ნაროდნ სპორტი“ შენიშნავს: „მაყურებლებმა ბრაზილიელებისა და ფრანგების შესრულებით იხილეს დიდი ფეხბურთი. ეს მატჩი იყო ფეხბურთელთა ეთიკური ურთიერთობის შესანიშნავი დღესასწაული“.

ესპანელმა ფეხბურთელებმა გამოცდა ვერ ჩაიბარეს, აღნიშნავს ვარშავის გაზეთი „რეჩ პოსპოლიტა“ და დასძენს: „ინგლისის ნაკრებში ვერ ვიხილეთ ისეთი ფეხბურთელი, რომელიც გუნდს წინ წარუძღვებოდა, არგენტინელთა ნაკრებში კი ასეთი იყო მარადონა“.

ესპანელთა მწვრთნელმა მუნიოსმა მატჩის შემდეგ აღნიშნა, რომ მის გუნდთან ბელგიელებმა ანტიფეხბურთის დემონსტრაცია მოახდინეს. თამაშის თითქმის 120 წუთის განმავლობაში ისინი მხოლოდ ჩვენი იერიშების მოგერიებაში იყვნენ. მაგრამ ისიც მართალია, რომ ჩვენს ფეხბურთელებს ბრალი მიუძღვით იმაში, რომ ვერ შეძლეს ბელგიელთა მასირებული დაცვის გარღვევა.

პირველი ჯილდო — პოლგარს

ალბენაში (ბულგარეთი) დამთავრდა ტრადიციული საჭადრაკო ფესტივალი. ძირითად ტურნირში მონაწილეობდნენ დიდოსტატები ზაიჩიკი (თბილისი), ბულგარელები რადულოვი და სპირიდონოვი, საერთაშორისო ოსტატები და ოსტატები, მათ შორის 17 წლის უნგარელი ჭალიშევი ეუძა პოლგარი. შეჯიბრება მიმდინარეობდა შვეიცარიული სისტემით 9 ტურად.

7,5 ქულით პირველი ჯილდო ეუძა პოლგარმა მოიპოვა, რომელიც უკვე ზედიზედ მეორე შეჯიბრებას ატარებს დაუმარცხებლად. 6,5-6,5 ქულით მეორე-მესამე ადგილები გაიყვეს ზაიჩიკმა და საერთაშორისო ოსტატმა დანაილოვმა (ბულგარეთი). საერთაშორისო ოსტატებმა პროდანოვმა (ბულგარეთი) და ბეედნარსკიმ (პოლონეთი) 6-6 ქულა დააგროვეს.

ფიდეს სამდივნოს ცნობით

როგორც ფიდეს სამდივნო იუწყება, მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტების არტურ იუსუპოვისა და ანდრია სოკოლოვის (ორივე — მოსკოვი) ფინალური მატჩი დაიწყება 1 სექტემბერს რიგაში. გათამაშდება 14 პარტია.

იუსუპოვ-სოკოლოვს შორის გამარჯვებული 1987 წლის თებერვალში შეხვდება კასპაროვ-კარპოვს შორის დამარცხებულს. ამ მატჩში გამარჯვებული კი 1987 წლის მეორე ნახევარში ითამაშებს მორიგ მატჩს მსოფლიო პირველობაზე.

მსოფლიო პირველობაზე მატჩები როგორც ვაუთა, ისე ქალთა შორის ორ წელიწადში ერთხელ იმართება. ვაუთა განრიგი კასპაროვ-კარპოვის მატჩ-რევანშმა დაარღვია და, ამასთან დაკავშირებით ფიდემ გადაწყვიტა მომავალში მატჩ-რევანშები აღარ მეწყოს.

მოკლედ

ფარიკაობა. ლენინგრადში გამართულ საკავშირო ჩემპიონატზე მოსკოველი მოხმალავე მიხეილ ბურცევი პირველ ადგილს დაუუფლა. მან ფინალში სძლია თანაქალაქელ ვიქტორ კროვოპუსკოს — 10:7. მესამე საპრიზო ადგილზე გამოვიდა მოსკოვის ოლქის წარმომადგენელი ანდრეი ალშანი, რომელმაც ამ ადგილისათვის გადამწყვეტი შეხვედრა მოუგო მოსკოველ სერგი კაზოკინს — 10:5.

სროლა. მოსკოვში მიმდინარე საკავშირო ჩემპიონატზე გამოვლინდა სამი გამარჯვებული. „გაქცეულ ტახზე“ სროლაში უძლიერესი იყო მინსკელი სერგი ლუზოვი (695 ქულა). მცირეკალიბრიანი შაშხანით წოლილა სროლაში პირველი-მეორე ადგილები გაიანაწილეს ლენინგრადელმა კირილე ივანოვმა და ერიკენელმა გრიან პეტრეკიანმა (695-695). როსტოველმა მარინე დობრანჩეკამ ყველას აჯობა პნევმატური პისტოლეტით სროლაში (486 ქულა).

რედაქტორის მოადგილე
დ. იოსელიანი.

აგიტ-მატარებელი განრიგით ჩამოვიდა

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ახალგაზრდობის ცხოვრებაში მნიშვნელოვან მოვლენად იქცა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის აგიტმატარებლის ჩამოსვლა.

აგიტმატარებლის „საქართველოს კომკავშირელის“ მონაწილეთა მიერ გამართულმა ლექციებმა, კონცერტებმა, ახალგაზრდა მხატვრების გამოფენამ, თვალსაჩინო აგიტაციამ — ყოველივე ამან ხელი შეუწყო XXVII ყრილობის გადაწყვეტილებების, პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის ივნისის პლენუმის მასალების, ამ პლენუმზე მ. ს. გორბაჩოვის მოხსენებაში ჩამოყალიბებული დებულებებისა და დასკვნების პროპაგანდას.

სტუმრები ეწვივნენ ცხინვალის რაიონის ხეთაგუროვის მეთესლეობის საბჭოთა მეურნეობის მშრომელებს, კვაისელ მაღაროელებს, შეხვდნენ ავტონომიური ოლქის ცენტრის ახალგაზრდებს.

გულით აღიქვა სამხრეთ ოსეთის ახალგაზრდობამ პარტიის მოწოდება. მან გადაწყვიტა ყველაფერი იღონოს, რათა მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულოს პირველი წლისა და საერთოდ მეთორმეტე ხუთწლედის დავალებები.

● ●

სურათზე: თბილისის ტრანსპა-ტროლეიბუსების სამმართველოს მოცეკვავეთა თვითმოქმედი ანსამბლის „სინათლის“ სოლისტები ცხინვალში.

ლ. ბუსოვის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

„თეატრალური ზაფხული—86“

რუსთაველელთა სპექტაკლმა „კონცერტი ორი ციოლონოსთვის აღმოსავლური საკრავების თანხლებით“, რომელიც დადგა სსრ კავშირის სახალხო არტისტმა რ. სტურუამ მწერალ ა. ჭიჭინაძესთან თანამეგობრობით დაწერილი პიესის მიხედვით, გახსნა საქართველოს თეატრების ზაფხულის სეგანტროლო აფიშა. რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის დასმა სპექტაკლი უჩვენა ცხაკაიაში. სპექტაკლში, რომელშიც საქმე ეხება ადამიანთა ურთიერთობის, ფსიქოლოგიის გარდაქმნას, როგორც ახლებურად მუშაობის ამოსავალ წერტილს, მაყურებლები შეხვდნენ თეატრის წამყვან მსახიობთა ხელოვნებას. რუსთაველელები გამოვლენ აგრეთვე ზუგდიდისა და ხობის მშრომელთა წინაშე.

ზაფხული გასტროლების აქტიური ხანაა. სხვადასხვა მიმართულებით გაივლის თეატრალური მარშრუტები — რესპუბლიკის რაიონულ ცენტრებსა და სოფლებში, მაღალი მთის რეგიონებში, მის ფარგლებს გარეთ. მაგალითად, თბილისის მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი უკანასკნელი წლების საუკეთესო ნამუშევრებს წარმოადგენს ივლისის შუა რიცხვებში წყალტუბოში, ხოლო სექტემბერსა და ოქტომბერში — კაუნასსა და ლენინგრადში. გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამატული თეატრის კოლექტივი შეხვდება ცხინვალისა და ფოთის მაყურებლებს, თბილისის შაუმიანის სახელობის სომხური თეატრი გამოვა კიროვაკანში, აბოვიანსა და ერევანში. მეტეხის ახალგაზრდული თეატრი ივლისის შუა რიცხვებში ეწვევა თავის ძველ ნაცნობებს — ონის, ცაგერის, ლეწერის, მესტიის მეცხოვრებლებს, აგვისტოში კი ჩოხატაურისა და ლანჩხუთის მშრომელებს. დასავლეთ საქართველოს ოცამდე პუნქტია მინაატურების. სახელმწიფო თეატრის საგასტროლო რეკვაზე.

მომმე რესპუბლიკების მაყურებელთა წინაშე შემოქმედებითი ანგარიშით წარსდგებიან აფხაზეთის ჯანბის სახელობის დრამატული თეატრი, რომელიც საგასტროლოდ გაემგზავრება კალუგაში, სოხუმის კ. გამსახურდიას სახელობის ქართული დრამატული თეატრი — კიროვოგრადსა და კიევში...

„ზაფხული—86“

ცხვებში წყალტუბოში, ხოლო სექტემბერსა და ოქტომბერში — კაუნასსა და ლენინგრადში. გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამატული თეატრის კოლექტივი შეხვდება ცხინვალისა და ფოთის მაყურებლებს, თბილისის შაუმიანის სახელობის სომხური თეატრი გამოვა კიროვაკანში, აბოვიანსა და ერევანში. მეტეხის ახალგაზრდული თეატრი ივლისის შუა რიცხვებში ეწვევა თავის ძველ ნაცნობებს — ონის, ცაგერის, ლეწერის, მესტიის მეცხოვრებლებს, აგვისტოში კი ჩოხატაურისა და ლანჩხუთის მშრომელებს. დასავლეთ საქართველოს ოცამდე პუნქტია მინაატურების. სახელმწიფო თეატრის საგასტროლო რეკვაზე.

მომმე რესპუბლიკების მაყურებელთა წინაშე შემოქმედებითი ანგარიშით წარსდგებიან აფხაზეთის ჯანბის სახელობის დრამატული თეატრი, რომელიც საგასტროლოდ გაემგზავრება კალუგაში, სოხუმის კ. გამსახურდიას სახელობის ქართული დრამატული თეატრი — კიროვოგრადსა და კიევში...

ისვენებენ მეშახტეები

ტყიბული. (საკ. კორ.). ქვანახშირის მაღაროების პროფკავშირული ორგანიზაციები სისტემატურად ზრუნავენ მეშახტეთა დასვენების ორგანიზაციისათვის. ამ მხრივ ქების ღირსია ლენინის სახელობის მაღაროს პროფკომიტეტის საქმიანობა, რომელსაც გამოცდილი პროფკავშირული მუშაკი ტ. ჭიქაბერიძე უდგას სათავეში.

კომიტეტის ინიციატივით აქ ხშირად ეწყობა ექსკურსიები, ლაშქრობები და სპორტული შეჯიბრებები. წელს პროფკავშირული საგზურებით არაერთმა მეშახტემ დაისვენა ჩვენი ქვეყნის საუკეთესო კურორტებზე. ორმა წარჩინებულმა მეშახტემ — ე. კირკიტაძემ და ვ. იამანდიმ ტურისტული საგზურით იმოგზაურეს ბულგარეთსა და რუმინეთში.

პროფკავშირული საგზურებით წელეულს ასამდე მეშახტე დაისვენებს.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘᲐ

380096, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ-96. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, 14.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ:

**ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘᲡ — 99-93-03, 99-03-09, ᲐᲛᲮᲜᲘᲡ — 99-72-80, ᲡᲐᲛᲓᲘᲕᲜᲝᲚᲘ — 99-66-10, ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲔᲚᲘᲡ: ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ — 99-87-61, ᲛᲐᲠᲯᲕᲜᲘᲡ ᲣᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ — 93-95-20, ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ — 99-52-46, ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲤᲘᲚᲘᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲢᲠᲐᲜᲖᲘᲢᲘᲡ — 93-20-24, ᲡᲐᲯᲐᲠᲝᲗᲐ ᲛᲣᲨᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ — 93-18-70, ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ, ᲣᲤᲐᲚᲚᲘᲡ ᲐᲡᲬᲠᲐᲤᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲘᲡ — 93-27-58, ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ — 99-55-01, ᲤᲘᲚᲐᲓᲔᲚᲤᲘᲐᲡ — 93-22-93, ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ — 93-16-90, ᲣᲪᲮᲝᲗᲘᲡ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ — 99-60-21, ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘᲡ — 99-72-24, ᲘᲜᲤᲣᲡᲘᲠᲐᲪᲘᲘᲡ — 93-28-54, ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲘᲖᲜᲔᲑᲘᲡ — 93-95-24.

ᲡᲐᲙᲝᲠᲔᲡ�პᲝᲜᲓᲔᲜᲢᲝ ᲞᲣᲜᲥᲢᲔᲑᲘ:

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ — 290-68-47; ᲡᲝᲩᲘᲡᲨᲘ — 2-40-19; ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ — 3-41-69; ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘᲡ 2-22-52; ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ — 5-26-36; ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ — 14-27-87; ᲒᲝᲠᲘᲡ — 2-33-10; ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲔᲡ — 2-03-15; ᲤᲝᲗᲘᲡ — 5-58-09; ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲔ — 6-34-44; ᲖᲣᲚᲘᲐᲜᲘᲡ — 5-56-36; ᲗᲘᲚᲐᲕᲘ — 3-12-00; ᲧᲘᲗᲔᲚᲬᲧᲐᲠᲝ — 22-66; ᲢᲧᲘᲑᲣᲚᲘ — 25-32.

ᲩᲕᲔᲜᲡ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲖᲔ

ᲗᲝᲚᲙᲝᲕᲘ

25 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.40 — დოკუმენტური ფილმი. 10.10 — ცხოველთა სამყაროში. 11.10 და 15.30 — ახალი ამბები. 15.50 — დოკუმენტური ტელეფილმი. 16.20 — გვიამბობენ ჩვენი კორესპონდენტები. 16.50 — „ეროშას არდადეგები“. II სერია. 18.00 — მ. ტარიევრდიევის სიმღერებს ასრულებენ ს. და ნ. რადჩენკოები. 18.15 — „...თექვსმეტ წლამდე. და უფროსი ასაკისა“. 19.00 — „სიტყვას საქმე უნდა მოსდევდეს“. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — „ფაქტები დადასტურდა...“. პასუხი „ვრემიას“ პროგრამის კრიტიკულ შენიშვნებზე. 20.20 — მხატვრული ფილმი „უკანასკნელი გაქცევა“. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — ჩაიკოვსკის სახელობის საერთაშორისო კონკურსი. 23.00 — ფეხბურთი. ნახევარფინალი. საფრანგეთი — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა. შესვენებისას — 23.45 — დღეს მსოფლიოში.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — ფილმ-კონცერტი. 9.45 — მხატვრული ტელეფილმი „ქურდობა“. II სერია. 11.00 — მუსიკა და ფერწერა. 11.20 — გერმანული ენა. 11.50 — კომპლექსური პროგრამა „მასწავლებელი“ |პოლტავის პედაგოგიურ ინსტიტუტში. 12.20 — ფილმი — ბავშვებს. 13.25 — მულტფილმები. 14.00 — საჭადრაკო სკოლა. 14.30 — მსოფლიო ჩემპიონატი სპიდვეიზე. 15.00 — ისტორიის ფურცლები. სამი სახელმწიფოს ხელმძღვანელთა 1943 წლის თეირანის კონფერენცია. 15.55 და 19.00 — ახალი ამბები. 19.15 — „თანამეგობრობა“. 19.45 — დოკუმენტური ფილმი. 20.00 და 21.15 — ჩაიკოვსკის სახელობის საერთაშორისო კონკურსი. 21.00 — „ძალი ნებისა, პატარებო!“. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — მხატვრული ფილმი „აქ შენი ფრონტია“. 24.00 — ახალი ამბები.

ᲞᲐᲭᲘᲚᲘ

25 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.35 — მოამბე. 10.10 — ავსტრალიური შთაბეჭდილებები (განმეორებით). 11.30 — სატელევიზიო კინოდარბაზი „ცისკარა“. მხატვრული ფილმი „დასეირნობდა ძალლი როიალზე“. 12.35 — საბჭოური ცხოვრების წელი. დოკუმენტური ტელეფილმი „ნეს თავზე ვიღებ“. 13.05 — მთიმატიკის ტელეკურსი. 13.35 — საინფორმაციო გამოშვება. 13.50 — ლიტერატურული თეატრი „წამება დეფოფლისა“ (განმეორებით). 14.25 — კინოჟურნალი „მინდა ყველაფერი ვიცოდე“. 14.35 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „დრია, შვილმა ცოლი შეირთოს“. 16.05 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.15 — შევისწავლოთ გერმანული ენა. 16.45 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.55 — დოკუმენტური ფილმი „უკანასკნელი სიტყვა“. 17.35 — ქართული დოკუმენტური ტელეფილმი „ჭიდობას რა უნდა“. 18.05 — მოსწავლეთათვის. „თვალსაწიერი“. სატელევიზიო ჟურნალი. 18.45 — განცხადებები. 18.50 — უკრავს საფორტეპიანო ტრიო. 19.15 — საერთაშორისო მიმოხილველები ქარხანა „ელექტროაპარატის“ მშრომელებთან. 19.45 — სტუდიაშია რედაქტორი (გადაცემა მეორე). 20.00 — მოამბე. 20.35 — „ცეროდენას ეკრანი“. 21.00 — „აუქციონი“. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — კონცერტი. 23.00 — მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში. ნახევარფინალი. საფრანგეთი — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა.

მეორე პროგრამა. 16.45 — მხატვრული ფილმი „ოქროს საათი“. 17.55 — დოკუმენტური ფილმები: „კრასნოდარი“, „შრომაში და თავდაცვაში“.

ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

25 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **ისევ ვოდევილები; აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — კაბელები ბამზე; თბილისის სახელმწიფო დრამატული — ტოტების ოჯახი** (მე-11 აბონ. მე-6 წარმ.).

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ ᲘᲜᲓᲔᲥᲡᲘ 66434 ᲣᲔ 07564 **ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲞ ᲪᲙ-ᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲓᲠᲝᲨᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲘᲡᲐᲜᲘ ᲡᲢᲐᲛᲑᲐ, ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ Ქ. 14, ᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲝᲤᲡᲔᲢᲣᲠᲘ ᲬᲔᲡᲘᲗ. ᲡᲐᲒᲐᲖᲔᲗᲝ ᲙᲝᲠᲙᲘᲡᲘ, ᲘᲝᲜᲐᲠᲐᲣᲚᲘᲡ 29.** 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16

ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲐᲒᲠᲝᲡᲐᲛᲠᲔᲯᲕᲔᲚᲝ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲔᲑᲘᲡ, ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲒᲐᲮᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲘᲡ, ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲢᲝᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲣᲠᲐᲓᲚᲔᲑᲝᲛᲔ!

ᲣᲐᲜᲔᲑᲘᲗ მწიფდება პურეული. დაიწყო ალონობა.

ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა არ მოხდეს ხანძარი მოსავლის მწიფობისა და აღების პერიოდში.

ყანები უნდა შემოიხნას. ხნულის ზოლების სიგანე სულ ცოტა 4 მეტრი უნდა იყოს.

მოსავლის ასაღები ყოველგვარი ტექნიკა აღჭურვეთ ნაპერწკალსაჭრობებით.

სახანძრო უსაფრთხოების წესების დაცვისადმი კონტროლის გაძლიერების მიზნით აუცილებელია პურეულის მასივებში მოეწყოს სადღეღამისო მორიგეობა და მოხალისეთა სახანძრო რაზმეულების სგუშაგები.

სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხებზე კონსულტაციისა და აუცილებელი დახმარებისათვის მიმართეთ სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ადგილობრივ ორგანოებს და მეხანძრეთა ნებაყოფლობითი საზოგადოების საბჭოებს.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის სამმართველო; საქართველოს მეხანძრეთა ნებაყოფლობითი საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმი.

ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲐ

სკკპ XXVII ყრილობის მიერ მიღებული პროგრამის განხორციელებში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მოსახლეობის ჯანმრთელობის უზრუნველყოფას. მხო